ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს | №58 (1688) | 22-28 სექტემბერი, 1998 წ. ● ფასი 50 თეთრი

ქვეყნის გადარჩენის ჭეშმარიტი გზა ერთიანობაშია...

აკაკი ბაქრაძე:

სად არის საშველი?

მესამე გვერდი



ირაკლი წერეთელი:

ქვეყნის გადარჩენას ვერც ერთი კაცის და ვერც ერთი პარტიის ჭკუა ვერ ეყოფა...

იქმნება პირველი ეროვნული საარჩევნო ბლოკი

ივანე ჯავახიშვილი ეგრეთწოდებული კავკასიელი ეროვნებების შესახებ

მეშვიდე გვერდი

საქართველოს ეროვნულ-რადიკალურმა პარტიამ, დავით ალმაშენებლის პარტიამ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და საქართველოს გაერთიანებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიჰმართეს განცხადებით ადგილობრივი არჩევნებისათვის მათი ბლოკის — „საქართველოს“ — რეგისტრაციის შესახებ.

„მკვდრის გვამზე მოყა შყა შეთა“

მეექვსე გვერდი

ფეხზე უნდა დადგეს საქართველო!..

მეორე გვერდი

„ომეგას“ ადვოკატთა პრესკონფერენცია

მე-11 გვერდი

ლენინური პრემიის ლაურეატი — კლაგიატორი?

ისტორიკოს პეტრე უშაკოვის საიდუმლოება

მეექვსე გვერდი

საინგილოს ქართველობა შველას ითხოვს!

მეთოხე გვერდი

ახალი პოლიტიკური ლექსიკონი

(ილია ბარამიძის რედაქციით)

აგორტი — საღი აზრის ჩაკვლა ჩანასახშივე. კომუნისტებს სჩვეოდათ.

ბერეზოვსკი — ჭკუით ჯიბეგატენილი რუსი პოლიტიკოსი.

გენოციდი — მოსახლეობის სისტემატური კვება დაპირებებით.

დიალოგი — გულახდილი საუბარი მოქალაქესა და ხელისუფალს შორის, როცა ხელისუფალი ლაპარაკობს და მოქალაქე თავს უკანტურებს.

ეპილეფსია — (ქართ. ბნედა) ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა, დამოუკიდებელი საქართველოს გახსენებაზე რომ მოსდით რუს პოლიტიკოსებს.

ვულკანი — ადგილი, სადაც ხელისუფალნი თბილად სხედან.

ზღარბი — დასაჯდომია ერთგვარი, მავანთ რბილი სავარძლებიდან გადასვამენ ხოლმე.

თევდორაძე — იგივე ელენე. აქაველთაგან (აქაურთაგან) შინაგან საქმეთა სამინისტროა-ს დანგრევის მიზეზი.

იმპოტენტი — პოლიტიკოსი, რომელსაც საქმის კეთების სურვილი აქვს, შეძლება — არა.

კავშირი — ადამიანთა ურთიერთობის ფორმა. სამგვარია: საბჭოთა, მოქალაქეთა და სქესობრივი.

ლიბერეტო — პარლამენტის რეგლამენტი.

ორსულობა — კარიერისტ ქალისათვის — გზა მინისტრობისაკენ, კარიერისტ მამაკაცების მცდელობა ახლავს ჩახევები.

პრიმაკოვი — გარუსებული თბილისელი რუსი.

ულიკი — არა ქართულ არს. ქართულად საქმოსანს იტყვიან.

რევიზია — აქა საშოვარზე გასვლა.

სეპარატიზმი — ცხენთა რემაში მიღებულ ჯორს რომ თავისი ვირიშვილობა გაახსენდება, ის არის.

ტემლაკები — ადრე ფარსადანს რომ მისცეს და ხვალ გოგუაძეს მისცემენ, ის არის (იხ. „არსენას ლექსი“).

ურა! — რუსთა შეძახილი ერთგვარი, ბოლო დროს გადაავიწყდათ, რადგან საურაო ვერაფერი ქნეს.

ფოსტალიონი — ადრესატისთვის წერილის ჩაბარების მერეც რომ კარებთან დგას მრიცხველჩართული, ის არის.

ქანდარა — ადგილი პარლამენტში, სადაც ჟურნალისტები კაკანებენ, კვერცხს კი რედაქციებში დებენ.

ღატაკი — სიღარიბის უკიდურესი ფორმით დაავადებული ადამიანი. დღევანდელ საქართველოში — ზნეობრივი ჯანმრთელობის სიმპტომი.

ყურშა — მავანი ეროვნული მოღვაწე, მიჯაჭვული ამერანის ჯაჭვის ლოკვით რომ სუქდება.

შიმშილობა (პოლიტიკური) — ფარულ კვებაზე გადასვლა.

ჩერნობილი — რუსული სამხედრო ბაზა საქართველოში.

ცენტურიები — ნოსტრადამუსის ლექსები, რომლებშიც ნაწინასწარმეტყველებია ნაპოლეონის დაბადება, მეორე მსოფლიო ომი, გერმანიის გაერთიანება და მანანა არჩვაძის გასვლა „მრგვალი მაგიდიდან“.

„ქინ-ქინ“ — გაზეთი, „შპარგალკა“ სექსუალურად უმეცართათვის.

წუთიერი დუმილი — მოჩხუბარ პარლამენტართა ტაიმ-აუტი, ჩხუბში დაცემულთა მოსაგონებლად.

ჭამა-სმა — დიდად შესარგი, მაგრამ ჩვენთვის მიუწვდომელი.

ხელის ჭუჭყი — ბინძურ საქმეთა კვალი ხელებზე, რომელიც ჯიბეებსაც აჭუჭყიანებს.

ჯავახეთი — აფსუობა სომხურად.

ჰერმაფროდიტი — გაურკვეველი ორიენტაციის, უპრინციპო პოლიტიკოსი.

ფეხზე უნდა დადგეს საქართველო!...

გაზეთ „საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, ბატონ სერგო ჯანაშიას

თბილისში, ს. ჩიქოვანის მე-5 კორპ. ბინა 33-ში მცხოვრებ როლანდ სინატაშვილის

გაანცხადება

წარმოგიდგენთ ვლადიკავკაზ-სანკტ-პეტერბურგში 1994 წელს 30 ათას ცალად გამოცემულ (შემდგენელი ვინმე ყაზბეგ ჩელეხსათი) ოსების და რუსების ქართველების საწინაალმდეგო, ქართული და საქართველოს წარსულის და აწმყოს, სინამდვილის მიჩქმალვის, ჩვენი მატიანედან ამოღებული ადგილების ოსურ ყაიდაზე მორგების ბინძურ წიგნს.

გთხოვთ სათანადო და შესაბამის დაწესებულებებთან, სპეციალისტებთან, ცალკეულ პირებთან კონსულტაციის შემდეგ თქვენი ქართული გაზეთის მეშვეობით მოამზადოთ საკადრისი პასუხი ყველა უმადურის და არამზადის მიმართ და დააგზავნოთ არა მარტო ყოფილი სსრკ იმპერიის გაზეთების რედაქციებში, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (საჭირო იქნება მომავალში სხვადასხვა ენაზე გამოიცეს შესაბამისი ლიტერატურა), რათა გაიგოს ყველამ, რომ ჩვენ, ისევე როგორც ისინი, ვიცავთ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მეობას. ხოლო მოსულები, შემოჭრილები ცდილობენ წაგგვლიჯონ ჩვენი ისტორიაც, წარსულიც, მიწებიც და ა. შ.

იქნებ მიძინებული ქართველიც გონზე მოვიდეს, ფეხზე დადგეს ფედერაციის მომხრეებს (გარედან კარნახით) შეაგნებინონ, თუ რა ახალი უბედურება მოელის მათ და მათი გამოისობით საქართველოს.

— ხელისუფლება ვალდებულია რეაგირება მოახდინოს ასეთ საკითხებზე.

— რატომ დუმან ჩვენი ისტორიკოსები? რა მოუვიდათ?

— სამართალდამცავი ორგანოები რატომ არ აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეებს, რატომ არ აპატიმრებენ ან რატომ არ გააძევებენ საქართველოდან.

— რას გატრუნულა ჩვენი საზოგადოება?

— რატომ არა გვაქვს ჩვენი, ქართული ეროვნული იდეოლოგია, სამოქმედო პროგრამა, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ღირსეულ მთავრობებს.

ღმერთმა ყველა ხალხს მისცა თავისი საცხოვრისი და ნება იბოძოს ყველამ თავის ქვეყანაში იცხოვროს, მე თუ ვიცხოვრებ სხვაგან, მათ ქუდს დავიხურავ და იმ ხალხის და ქვეყნის მადლიერი და ერთგული ვიქნები — ასე მოვთხოვოთ მათაც!

ფრიად პატივცემული, განათლებული ბ-ნი ვასილ აბაევი თავის ნაშრომებში წერდა, რომ ოსები მდინარე დონის ნაპირებიდან გადმოსახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. ახლა რა მოუვიდათ? რატომ მიათვალეს თავისი თავი უწიგნურ და ველური ალანების შთამომავლებად? მათი გზით სურთ სიარული? არ ვურჩევ.

არასოდეს ოსების საწინააღმდეგო საქმე არ გამიკეთებია, სამხედრო სასახურში, მეზობლობაში ახლო ურთიერთობა მქონია მათთან. მაშ, ოსებს რა მოუვიდათ? განა მათ არ იციან — არავითარი სამხრეთ ოსეთი არ ყოფილა — არც უნდა იყოს. რა ხასიათზე დადგებიან, მათ ისტორიულ სამშობლოში რომ ყაბარდო-ბალყარებმა, ჩეჩენ-ინგუშებმა და სხვებმა ავტონომიები მოიწყონ და წაგლიჯონ მიწები, აყარონ და გაყარონ ისინი. ამას ხომ დაფიქრება უნდა. ვინ ვის მოუწყო გენოციდი — გადახედეთ ისტორიას. ჭკუთი იყავით და სიბრძნით მოიქეცით როგორც ეს ღირსეულ კავკასიელებს სჩვევიათ. არის ჩვენს ისტორიაში ღირსეული ფურცლები, სჯობია ისინი გვქონდეს სამოქმედოდ და სამეგობროდ. სხვისი სათამაშო ნუ იქნებით ჩვენს წინააღმდეგ. ისიც გეყოფათ, ჩვენი ისტორიული დვალეთი რომ მიითვისეთ, ბალთა წაიღეთ.

ბატონო რედაქტორო, მიმართეთ ჩვენს ინტელიგენციას, ჩვენს ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. აღარ შეიძლება ასეთი „ცხოვრებით“ ცხოვრება. არა გვაქვს უფლება, 21-ე საუკუნის მიჯნაზე დავკარგოთ ის, რაც ქართულია, ფეხზე უნდა დადგეს საქართველო. მოვიქცეთ ისე, როგორც მსოფლიოს ღირსეული მთავრობა და ხალხი იქცევა.

პატივისცემით, თქვენი გაზეთის მკითხველი

რ. სინატაშვილი

16.09.98 წ.

ბატონ ნეთანიაჰუს სიცხე და ჩვენი ტელევიზია

(ანუ რად დასჭირდა საქართველოს ტელევიზიის I არხს კვლავ საპნის ბუშტების ეთერში გაშვება)

ბატონ ნეთანიაჰუს რაც დაემართა, ანუ ორი-სამი საათის განმავლობაში რამდენად აუწია სიცხემ, რომელმაც თბილისში ჩამოსვლა გადააფიქრებინა, ეს ჩემთვის ცნობილი არ არის. ასევე ზუსტად არც ის არის ცნობილი, ჩვეულებრივი სიცხე იყო ეს თუ პოლიტიკური.



ჩვენთვის კარგად ეს არის ცნობილი, თუ რად დასჭირდა საქართველოს ტელევიზიის I არხს კვლავ საპნის ბუშტების ეთერში გაშვება, ვაითუ, ედუარდ შევარდნაძეს ბენიამინ ნეთანიაჰუს სიცხის და თბილისში ჩამოუსვლელობის გამო რეპუტაცია შეელახოსო(!) და კიდევ, უკვე მერამდენედ, ვიხილეთ ბატონი პრეზიდენტი სხვა ცნობილ პიროვნებებთან (წვეულებასა და შეხვედრაზე, მიღებასა და ტრიბუნაზე და ა. შ.). მათ შორის იყვნენ ახლაც მოქმედნი პოლიტიკურ სარბიელზე და უმოქმედონიც, ყოფილი პრეზიდენტები, სახელმწიფო მდივნები, საგარეო საქმეთა მინისტრები და ნაბადმოსხმული ბეიკერი და უნაბადო გენშერი. მსოფლიოს რა ქალაქებმა არ გაიელვეს ამ დროს ტელეეკრანზე, სადაც ბატონ პრეზიდენტს თავისი მეტად გაგრძელებული პოლიტიკური მოღვაწეობის ხანს ფეხი დაუდგამს. მაგრამ ჩვენ, უბრალო მოკვდავთა, ანუ იმათ, ვისაც არ გვქონდა ბედნიერება ბატონ ბეიკერისთვის ხელის ჩამორთმევისა, როგორც ჩანს, უფრო მეტად ეს გვაწუხებს, რამდენად შვების მომცემი იყო ეს შეხვედრები ჩვენი ქვეყნისათვის, რომლის პრეზიდენტი, ღმერთმა ნუ ჰქნას და დღეს და ხვალ რომ გადადგეს, ქრონიკულ პროცესში გადასულ იმდენ პრობლემას დაგვიტოვებს, ჩვენს შვილიშვილებსაც რომ ეყოფათ და ბეიკერების მთელი ჯარიც ვერ გვიშველის.

ერთი გარემოებაა აღნიშნვის ღირსი. ამ დღეებში ბევრჯერ ითქვა, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ჩვენთან არც არასდროს მოუწყვიათ ებრაელთა გენოციდი, რაც, რაღა თქმა უნდა, დიდად სასახელოა. ამ დროს აღარავის არ ახსოვდა, რომ ჩვენს გაედუარდებულ-გავლადისლავებულ საქართველოში ქართველების გენოციდი მოხდა და დღესაც ხდება — გასაოცარია და საშიშიც, ხომ შეიძლება ამერიკელს, ფრანგს, ინგლისელს, ნორვეგიელს, ფინელს და კიდევ სხვა მრავალი ერის წარმომადგენელს ამაზე იმდენი ფიქრი დასჭირდეს, რომ თავის ტკივილი დასჩემდეს და მაინც ვერაფერს მიხვდეს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის სიცხის გამო კიდევ ისაუბრეს ოსლოელებმა, ბატონ ბეიკერმა, ბატონ ბერეზოვსკიმ, ბატონ ბერეზოვსკიმ, ბატონ ბერეზოვსკიმ

ქვეყნის გადარჩენის ჭეშმარიტი გზა ერთიანობაშია

საქართველოში რომ დღეს კატასტროფული მდგომარეობაა, ყველა ჭკუათმყოფელისათვის ცხადია. ქვეყნის უბედნობით შეწუხებული ადამიანები, ჭეშმარიტი პატრიოტები ეძებენ გზებს ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად. ისინი მივიდნენ ერთადერთ სწორ დასკვნამდე: აუცილებელია ეროვნულ ძალთა გაერთიანება, მამულისათვის გულანთებულთა კონსოლიდაცია, მაგრამ როგორ, რა ფორმებით, რა პროგრამით, რა ძალთა თანადგომით, ეს უკვე აზრთა გაცვლა-გამოცვლის, კამათის, პაექრობის საგანი გახდა.

გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ წერილობით დიალოგს სწორედ ამ თემაზე ბატონ აკაკი ბაძრაძესა და ბატონ ირაკლი წერეთელს შორის, რაც, ვფიქრობთ, უსათუოდ დაინტერესებს ჩვენს მკითხველს.

ერთსაც დავძენთ: ახლა გაჩუმების, პასიურად ყოფნის, მოვლენათა გვერდიდან ჭვრეტის დრო არაა. საჭიროა აქტიური მოქმედება, მოვლენათა შუაგულში ტრიალი და საქართველოს მოსახლეობისათვის იმისი შეხსენება, რომ მხოლოდ ერთიანობით, ერთმანეთის გვერდით დგომით გადავირჩენთ თავს და გადავარჩენთ სამშობლოსაც.

ვთხოვთ მკითხველებს, გამოგვეხმაურონ, მოგვწერონ საკუთარი მოსაზრებები, შეხედულებები და აქტიურად ჩაებგან ამ თემაზე გამართულ დიალოგში.

აკაკი ბაძრაძე:

სად არის საშველი?

(აკ. ბაძრაძის პასუხი ირ. წერეთლის მიმართვაზე)

ირაკლი ბატონო!

უპირველესად დიდი მადლობა გახსენებისათვის.

რა თქმა უნდა, მიმართვის იდეა — ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანება — კეთილშობილურიც არის, აუცილებელიც და გადაუდებელიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი განხორციელებისა არ მჯერა. შეიძლება მე ვცდები (ღმერთმა ჰქნას, რომ ასე იყოს!), მაგრამ ამ სკეპტიკურ დამოკიდებულებას საქართველოს მთელი ისტორია ადასტურებს. წარსულშიც ასე იყო და ახლაც ასე მოხდა. 80-იანი წლების ბოლოს არსებული ერთიანობა სულ მალე დაიშალა და დანაკუწდა. მისი ნასახიც აღარ დარჩა. ჩანს, დაშლა-დანაკუწება, დაპირისპირება ქართული ჯიშის თვისებაა. ჯიში კი ძალიან მყარია და თითქმის არ იცვლება.

დავუშვათ, არ ვარ მართალი და ამას მწარე გულისტკივილი მალაპარაკებს. მაშინ მკაფიოდ უნდა გამოვხატოთ, რა იდეის, რა აზრის, რა ლოზუნგის გარშემო შეიძლება მოხდეს გაერთიანება? მარტო იმის თქმა, რომ დღევანდელი ხელისუფლება უვარგისია, ქვეყანას ვერ უპატრონა და კატასტროფამდე მიიყვანა, საკმარისი არ არის. ეს ყველასათვის ნათელია და გასაგები, მაგრამ სად არის საშველი? მარტო ეროვნულ-პატრიოტული ძალების ერთობა საქართველოს ვერ გადაარჩენს, თუ მკაფიოდ არ ჩამოყალიბდა პროგრამა:

1. როგორ აიწყოს ეკონომიკა. ეკონომიკის მხრივ საქართველოში დღეს ყველაფერი მოშლილია. აღარც სოციალისტური ეკონომიკაა, აღარც კაპიტალისტური და აღარც სოციალური საბაზრო. ქვეყანა გაღატაკებულია და დაქცევის პირად მისული.

2. როგორ დავიბრუნოთ მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორია, როგორ დავაბრუნოთ შინ უთვალავი დევნილ-ლტოლვილი.

3. როგორ მოეწყოს საქართველო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კუთხით ისე, რომ არც ქართველი ხალხი დაზარალდეს და არც აზერბაიჯანელები, არც აფხაზები, არც ოსები, არც სომხები და არც სხვანი, ვინც საქართველოში ცხოვრობს, მტრად არ მოვიკიდოთ. ამ პრობლემის მოუგვარებლობამ საბედისწერო როლი შეასრულა დღევანდელი საქართველოს ისტორიაში.

თუ ამ სამ საკითხს დამაჯერებელი, კონკრეტული, პრაქტიკულად განხორციელებადი პასუხი არ გაეცა, ქართველი ხალხი ისევ მოტყუებული დარჩება და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა, ისედაც აბუჩად აგდებული და გაბითურებული, სამუდამოდ დაიმარხება.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც დღევანდელ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გარეშე ძალამ (ვგულისხმობ როგორც რუსეთს, ისე თურქეთსა და ევროპა-ამერიკას) საქართველოში ორი პოლიტიკური ძალა შექმნა — შევარდნაძის დაჯგუფება და აბაშიძის დაჯგუფება, მომავალ არჩევნებში ამ ორ დაჯგუფებას შორის გაიმართება ბრძოლა. გარეშე, უცხო ძალის მხარდაჭერაც მათ აქვთ. იმისდა შესაბამისად, გარეშე, უცხო ძალა ვის ჩათვლის უფრო მისაღებად, ის გაიმარჯვებს მომავალ არჩევნებში. მესამე დაჯგუფება, თუნდა იგი ეროვნულ-პატრიოტული გაერთიანება იყოს, ამ ორი დაჯგუფების ბრძოლაში ვერ ჩაერევა. ამის უფლებას არ მისცემენ და არც ნივთიერ-ფულადი სახსრები ექნება.

ამიტომ მოსაძებნია და დასადგენი, რომელი უცხო, გარეშე ძალა ამოუდგება მხარში და დაეხმარება ეროვნულ-პატრიოტულ გაერთიანებას? დამერწმუნეთ, ამას არც რუსეთი გააკეთებს, არც თურქეთი და არც ევროპა-ამერიკა. სამივესათვის უფრო ხელსაყრელია შევარდნაძის დაჯგუფებაც და აბაშიძის დაჯგუფებაც. ორივე დაჯგუფება უფრო გამოცდილი ჰყავს და ნდობითაც უფრო ენდობიან. გარეშე, უცხო ძალის დაუხმარებლად გამარჯვება შეუძლებელი იქნება. ამას ადასტურებს მსოფლიო ისტორიის გამოცდილებაც და საქართველოს უახლესი ისტორიაც. კაცობრიობის ისტორიაში არცერთ მოძრაობას, არც პოლიტიკურს, არც სოციალურს, არც რელიგიურს, არც ეროვნულს და არც სხვას არასოდეს გაუმარჯვია გარედან დახმარების გარეშე. ეროვნულ-პატრიოტულ ერთიანობას ვინ დაეხმარება გარედან?

ისიც გულახდილად უნდა გითხრათ, რომ პირადად მე პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობას არ მივიღებ. არჩევნებში ორჯერ დავმარცხდი და ეს სრულიად საკმარისია დასკვნის გასაკეთებლად: ქართველ ხალხს არ მოეწონა, არ მიიღო ის გზა, რაც მე მიზანშეწონილად და აუცილებლად მიმაჩნდა. რუსები ამბობენ — Насильно мил не будеш. ამიტომ ხალხს თავი არ უნდა მოაბეზრო. არც მე მინდა აბეზარი ბუზივით ვინმე შევაწუხო, მით უფრო, მთელი ხალხი.

პატივისცემით აკაკი ბაძრაძე
1998 წ. 7 სექტემბერი

ირაკლი წერეთელი:

ქვეყნის გადარჩენას ვერც ერთი კაცის და ვერც ერთი პარტიის ჭკუა ვერ ეყოფა...

(ირ. წერეთლის პასუხის პასუხი აკ. ბაძრაძეს)



ღრმად პატივცემულო ბატონო აკაკი!

უპირველეს ყოვლისა, მთელი სულითა და გულით მოგიკითხავთ გულწრფელი პატივისცემით და გისურვებთ ყველაფერ კარგს, მრავალ სიკეთეს, პირად ცხოვრებაშიც და აუცილებლად თქვენს საქართველოშიც!

მე საოცრად გამახარა ჩემს მიმართვაზე თქვენგან წერილის მიღების ფაქტმა. სასოებით და მთელი გულისყურით წავიკითხე თქვენი წერილი. ერთად დამეუფლა ღრმა სევდისა და უდიდესი სიხარულის განცდა. სევდა ჩვენი სამშობლოს მძიმე მდგომარეობით იყო გამოწვეული, რაც მკვეთრად და ლოგიკურად არის გამოხატული თქვენს ბარათში, სიხარული კი შედეგი იყო იმის კიდევ ერთხელ აღმოჩენისა, რომ საქართველოში აზროვნება და სიცოცხლე გრძელდება და თქვენი წერილი ამის უეჭველი დადასტურებაა.

დიდი ილია ამ შესანიშნავი წერილის მიღების შემდეგ ალბათ თავისი საყოველთაო ცნობილი კითხვებით გიპასუხებდათ — რა გითხრათ? რით გაგახაროთ? რაოდენ მძიმე მდგომარეობაც არ უნდა იყოს საქართველოში შექმნილი, უმედოდ დარჩენის საფუძველი და უფლება არა გვაქვს ქართველებს და ასე მგონია და ასე მწამს, სათქმელიც ბევრი გვაქვს ერთმანეთთან ქართველებს და ისიც არ გვაკლია, რაც სიხარულს განგვაცდევინებს.

დავიწყებ იმით, რომ ჩემი სინდისისა და გონების გადმოსახედიდან იმ მამულიშვილთა რიცხვს მიეკუთვნებით, რომელთა არგახსენება და დავიწყება, პრინციპში, ერის, მამულის დავიწყების ტოლფასია. ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, ქართველებში საყოველთაოდ არის გავრცელებული ერთმანეთის მიმართ უყურადღებობის, უპატივცემულობის სენი. არ გამოვრიცხავ, ზოგჯერ ალბათ მეც დამეძგერება ხოლმე ამ სენის უხილავი ტალღა, მაგრამ მერწმუნეთ, ბატონო აკაკი, ნამდვილად მახსოვხართ, რამეთუ მართალი არ ვიქნები ღმერთის, სინამდვილისა და სინდისის წინაშე, რომ არ მახსოვდეთ.

საქართველოს თავზე დატრიალებული უბედურებების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ნამდვილად არის, სხვა მიზეზებთან ერთად, ერთმანეთის დავიწყება, ურთიერთმიჩქმალვა, ურთიერთუპატივცემულობა და ასე შემდეგ და ყველაფერ ამას დაშლა-დაკნინებამდე და დაპირისპირებამდე მივყავართ. სწორედ ამიტომ ერთმანეთის გახსენებით, არდავიწყებით, ურთიერთპატივისცემით ჩვენი ერის საყოველთაო უბედურებათა გამომწვევ სერიოზულ მიზეზებს უნდა ვებრძოლოთ, მით უფრო მაშინ, როდესაც მიზანი უდაოდ დიდი და კეთილშობილურია და ბრძოლის აუცილებლობა მყარი ისტორიული, სახელმწიფოებრივი, ზნეობრივი და პრაგმატული მოტივებით არის განპირობებული.

მართალია, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ადასტურებს თქვენს სკეპტიკურ დამოკიდებულებას ეროვნული პატრიოტული ძალების გაერთიანების იდეის განხორციელებისადმი, მაგრამ ჩვენი ისტორია იმაზეც მეტყველებს, რომ ქართველთა სახელმწიფოებრივი აღზევება და ძლევამოსილება ყოველთვის პირდაპირ და უშუალო შედეგი იყო დიდი ეროვნული ერთიანობის. ვინ, როგორ და რიდის ახერხებდა, ან მომავალში როგორ მოახერხებს ქართველთა გამთლიანებას, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ჩვენი, ქართული ჯიშის თვისებათა მიუხედავად, გაერთიანების, საერთო-საყოველთაო ძალისხმევის გარეშე რომ დიდი საქმე ვერ გაკეთდება, ეს ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ საქართველოს გადარჩენის, აღიარების, გაძლიერების ჭეშმარიტად დიდი საქმე აუცილებლად უნდა გაკეთდეს, რადგან სხვა გამოსავალი ჩვენ, უბრალოდ, არა გვაქვს. აქედან გამომდინარე, რაოდენ ძნელიც არ უნდა იყოს, ეროვნული და პატრიოტული ძალების გაერთიანების, დიდი ნაციონალური კონსოლიდაციის იდეის რეალიზაცია საქართველოს კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის, საქართველოს აღორძინებისა და გაძლიერების სტრატეგიული გეგმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად უნდა დავსახოთ.

სრულიად გეთანხმებით იმაში, რომ ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანება აუცილებლად უნდა მოხდეს მკაფიოდ გამოხატული იდეების, აზრების, პრინციპების, ლოზუნგების გარშემო. დღევანდელი ხელისუფლების ლანძღვა-გინება მარტო რომ საქმეს ვერ უშველის, ეს ყველა საღი გონების კაცს კარგად მოეხსენება. აუცილებელია სერიოზული პროგრამის შექმნა, სადაც ყველასათვის ნათლად და გასაგებად იქნება ჩამოყალიბებული საერთო მიზნები, შეხედულებები, პრინციპები, პოზიციები, თვალსაზრისი. პროგრამაში უაღრესად კონკრეტული, დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხები უნდა იყოს გაცემული ერისა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვან და აქტუალურ ყველა საკითხზე. პროგრამაში კარგად უნდა გამოიკვეთოს ჩამონათვალი ყველაფერ იმის, თუ კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს და აგრეთვე ისიც, თუ რა გზით და როგორ უნდა გაკეთდეს.

აბსოლუტურად გეთანხმებით იმაშიც, რომ ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა პროგრამამ უპირველეს საკითხებად, ყოველ მიზეზგარეშე, უნდა გაითვალისწინოს თქვენს წერილში გამოკვეთილი სამი ძირითადი, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა — ეროვნული ეკონომიკის აღორძინება, მტრის მიერ მიტაცებული და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. მე, როგორც პიროვნებას, როგორც პოლიტიკოსს, ნამდვილად გამაჩნია ჩემი მკვეთრად გამოხატული პოზიციები, შეხედულებები და მიდგომები, ამ პრობლემათა გადაჭრის მიმართულებით, მაგრამ ჩემს მიმართვაში შეგნებულად არ გამოვთქვი, მიმაჩნია, რომ ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა გაერთიანებით ახალი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ეტაპი უნდა დაიწყოს ქართველი ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში და აქედან გამომდინარე საერთო პროგრამა, რომელიც ჩვენ ყველას გაგვაერთიანებს, ჩვენი საერთო ნააზრევის, საერთო მსჯელობის, ანალიზისა და შეთანხმების შედეგი უნდა იყოს. მე პირადად მომწყინდა მხოლოდ ჩემს ჭკუაზე და ჩემს სურვილებზე სარული. საქართველოს კეთილდღეობისა და გაძლიერების საშვილთაშვილო და წმიდათაწმიდა იდეას ერთი კაცისა და ერთი პარტიის ჭკუა და ძალისხმევა ნამდვილად ვერ ეყოფა და ვერც უშველის. ვინც ფიქრით, ვინც სულით, გონებით, სიტყვითა და საქმით ცდილობს იღვაწოს საქართველოსთვის, ვისთვისაც უმნიშვნელოვანესი სწორედ საქართველოს და არა საქართველოსთან მიბალანსებული და მიუკერძოებელი პირადი ინდივიდუალური თუ პარტიული ინტერესებია, ყველა აუცილებლად უნდა გაერთიანდეს. უნდა გაერთიანდეს ცოცხალი და მკვდარი საქართველო და აუცილებლად გაერთიანდება, თუ ღმერთისგან არ ვართ შეჩვენებულები და თუ ისტორიულად წასვლა და გადაშენება არ გვიწერია. და ვინც წინ აღუდგება გაერთიანებას, ის ველარავის ველარ დაუმტკიცებს, რომ საქართველოა მისთვის მნიშვნელოვანი და არა საკუთარი თავი საქართველოში. სხვა მამულიშვილებთან ერთად თქვენ იმიტომ მოგმართეთ, ბატონო აკაკი, რომ მე ვიცი და მწამს, თქვენი მაღალი გონება და დიდი აზრები საქართველოსთვის, ქართველი ერისთვის, მისი კეთილდღეობისათვის იყო და არის ანთებული.

მთავარი ამ შემთხვევაში საერთო მიზნებისა და პრინციპების გარშემო გაერთიანებაა, აუცილებელია აგრეთვე გაერთიანება ნათელი, რეალური და სერიოზული პროგრამის გარშემოც და მე ეჭვი არ მეპარება იმაში,

გაგრძელება მე-6 გვ.

სატირა

აღარ ახსენოთ!

ისევ კომუნიზმს მისტირის ვილაც,
ცრუპატრიოტი, ბეცი, რეგვენი,
მკვლელის ხელობას აქაც და იქაც,
ნაღდად უნაკლოდ ფლობენ ეგენი.
აღარ ახსენოთ, ხალხო, ლენინი,
არც ჯუღაშვილი სოსო-სტალინი,
ურვა ჩვენს ხსოვნას შემორჩენილი,
გვაქვს მაგათ გამო გადატანილი.
კომუნისტობა ნიშნავს მკვლელობას,
გადასახლებას, ციხეს, გულაგებს.
რა დამავიწყებს იმათ ხელობას,
ძროხა გვყავდა და გაგვაკულაკეს.
ჯერ ისტორიას არ ახსოვს კარგი
რამ მოეტანოს რევოლუციას,
სკამის ძიება ეს არის დარგი,
არ ესმის რეგვენს, ყრუს და ბრუციანს.

ნიკოლოზ იოსებიძე

კომენტარი პრეზიდენტის 14 სექტემბრის რადიოინტერვიუზე

„დერეფნის“ თემა

დღეს ყველამ ვიცით, რომ „დასავლეთ-აღმოსავლეთის დერეფნის“ გაკვალვა ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია და სასარგებლოა. ისიც ვიცით, რომ მის ინიციატორად და პროექტის თითქმის თანაავტორად შევარდნაძის გამოყვანა ისეთივე ბლეფია, როგორც ამავე პიროვნების დასახვა სსრკ-ს დაშლის ინიციატორად ან ხელშემწყობად. არც ისაა საიდუმლო, რომ უშუალო შემოსავალი საქართველოსთვის ნავთობსადენიდან ძალიან მცირეა. იგი მმართველ ჯგუფს, როგორც იტყვიან, მზესუმზირის ფულად არ ეყოფა და საქართველოს სახელმწიფოს იქიდან არც ერთი ცენტი არ მოხმარდება. საყოველთაოდ ცნობილი არ არის მხოლოდ ერთი რამ: ის ნავთობის ბუმი, რომელიც განაპირობებს დასავლეთის მწვავე ინტერესს ამ პროექტისადმი დღეს, დროებითია. ეკონომიკური ინტერესების ცენტრები გადაინაცვლებს (აფრიკა, ბრაზილია,...). თუმცა ჩვენი „დერეფანი“ უმნიშვნელო არასოდეს აღარ გახდება, მისი შეფარდებითი წონა შემცირდება. შესაბამისად, ადგილობრივი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ტვირთი მის დაცვაში ჩრდილოელი და სხვა აგრესორებისაგან გაიზრდება. ჩვენი „ტაიმ-აუტი“ იმ უფრო მძიმე საგარეო ვითარების შექმნამდე 25-30 წელს თუ გასტანს. სწორედ ამ ხნის მანძილზე აქვს დავალებული საქართველოს მმართველ კომუნისტურ აგენტურას საქართველოს ისე განადგურება (ეკონომიკურად, გენეტიკურად, მორალურად, სტრატეგიულად), რომ ფეხზე ვეღარ დავდგეთ. ამ პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების მოწმენი ვართ. ამ პერსპექტივისაგან თავის დახსნა ხელისუფლების შეცვლის გზით ჩვენი ვალია შთამომავლობის წინაშე.

ძართულ-ეგრაული მეგობრობის თემა

ორი აზრი არ არსებობს ამ ნაყოფიერი მეგობრობისა და თანამშრომლობის თაობაზე. მაგრამ პრეზიდენტი მაინც ცდება, როცა ამბობს, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა მონოეთნიკური ქვეყანა. ქვეყანა, რომელიც არასდროს ყოფილა მონოეთნიკური, არ არსებობს (ასეთ შემთხვევაში იგი ქვეყნად ვერც ჩამოყალიბდებოდა). ერთენოვნება კი „ქართლის ცხოვრებაში“ არაერთხელ არის ნახსენები. ქვეყანაში „არა იზრახებოდა სხუაი ენაი თვინიერ ქართულისაო.“



საზეიმო შემთხვევასთან დაკავშირებით პრაგმატული პოზიციების გამოხატვა, რა თქმა უნდა ზედმეტია, მაგრამ ზოგი რამ კი პრეზიდენტს, შესაძლოა, თავის ყოველდღიურ პოლიტიკაშიც ყურადღების მიღმა რჩება (უკეთეს შემთხვევაში). ერთი ის გახლავთ, რომ საქართველოს უძრავი ქონებისა და აღუდგენელი ნედლეულის გაყიდვა არც მტრებზე ვარგა და არც მეგობრებზე. მეორე ის გახლავთ, რომ საქართველოს ყველაზე მომგებიანი როლი მსოფლიო პოლიტიკაში — დასავლეთის ფორპოსტისა აღმოსავლეთში და მეკავშირისა მსოფლიოს ამ ორ მხარეს შორის — ისეთივეა დიდწილად, რაც დღეს ისრაელს აქვს. ამ კავშირთა ერთი ნაწილი ისრაელზე გაივლის, ერთი ნაწილი, ჩვენთვის უკეთეს შემთხვევაში — საქართველოზე.

ამ ფაქტიდან ბევრი საგულისხმო დასკვნის გამოტანა შეიძლება.

ამერიკული ხომალდის შემოსვლის თემა

პრეზიდენტმა ვერ გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ სამი წლის წინ ბათუმში შემოსული იყო აშშ სამხედრო ხომალდი. პრეზიდენტის მსჯელობა იმაზე, რომ ამგვარი ვიზიტები ნორმალური მოვლენაა და არც ერთი მეზობლისთვის შემაშფოთებელი არ უნდა იყოს, ალბათ ყველა მსმენელისათვის გასაზიარებელია.

ეკონომიკური თემა

ლარის სტაბილობას რომ თვალის ჩინვით უნდა გავუფრთხილდეთ, ამაში პრეზიდენტი, ცხადია, მართალია. მაგრამ მის დღევანდელ სტაბილობაში რომ დღევანდელ კორუმპირებულ ხელისუფლებას წვლილი არა აქვს (არამედ ეს მთლიანად მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის პოლიტიკის ნაყოფია), მსმენელთა უმრავლესობამ აგრეთვე იცის. ეს რომ არ კმარა ეკონომიკის გადარჩენისათვის, ნათელია. დღეს თუ თითოსულ მოსახლეზე რუსეთში 250 დოლარი საგარეო ვალი მოდის, საქართველოში ეს რიცხვი 600 დოლარს შეადგენს. ვინ ჩაბარა ხალხს ანგარიში იმ მმართველი ხროვის „მოღვაწეობაზე“, რომელმაც ეს ფული მიითვისა, 1992 წლიდან დაწყებული, და დღესაც ახალ-ახალის მითვისებას განაგრძობს? ვინ დაიდო ბრალად საქართველოში მრეწველობის ჩახშობის პოლიტიკა, რომელიც ტარდება? არავინ, თუმცა ამის გაკეთება პირადად პრეზიდენტის მოვალეობაა. არაერთხელ თქმულა და ხელისუფლებას არა აქვს უფლება, ხალხს დაუმალოს, რომ მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის მხსნელი როლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ვერ შეუთავსდება ჩვენი წარმოების (პირველ ყოვლისა — მრეწველობის) ხელშეწყობის პოლიტიკას, განათლებისა და ფუნდამენტური მეცნიერების ნახალისების პოლიტიკას მანამდე, სანამ რუსეთის სტრატეგიული მაჩანჩალა ვართ, „ესენგეში“ ვირიცხებით და ჩვენს მიწაზე რუსული სამხედრო ბაზები გვაქვს. ლარის ბედზე მსჯელობისასაც პრეზიდენტი უმართებულად ჩქმალავს ამ ბაზების როლს ჩვენი ფინანსების ძირგამოთხრაში: იგი არ ამხელს, რომ რუსული ბაზების პერსონალი და რუსი სამხედრო მოსამსახურეები საერთოდ ჩვენს ტერიტორიაზე ხელფასს რუსული რუბლებით იღებენ!

პრიმაკოვის თემა

როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდების და კირჩხიბი (კიბო) მართლად არ ვალს, ისე საქართველოს პრეზიდენტი, ალბათ, ვერასოდეს შეიგნებს, რომ რუსეთის კეთილი ნებით საქართველო აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემებს ვერ გადაჭრის და რომ რუსეთთან საქართველოს „თანამშრომლობა“ ჩრდილო კავკასიის პრობლემის მოგვარებაში (მარტივად რომ ვთქვათ: ჩრდილო კავკასიაზე რუსული კოლონიური ბატონობის დაცვაში) როგორც მთლიანად კავკასიის, ისე კერძოდ საქართველოს ღალატს ნიშნავს. პრიმაკოვი თავისი იმპერიულ-პროკომუნისტური კურსითა და დასავლეთის წინააღმდეგ რუსეთის და ისლამური სამყაროს მოკავშირეობის დოქტრინით ერთი იმ მოძველებულ ფიგურათაგანია, რომელიც თავის ქვეყანას არაერთ ცდუნებაში ჩააგდებს და არა ერთ მძიმე პრობლემას შეუქმნის. საქართველოს პრეზიდენტის ყმური ერთგულება რუსეთის ნებისმიერი კურსის სადმი, პრიმაკოვის მოსალოდნელი კურსის ჩათვლით, ჩვენი ქვეყნისათვის სახიფათოა.

ზემატვივარ

საინგილოს ქართველობა შველას ითხოვს!

აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ბატონ ჰ. ალიევს,
საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ. ე. შევარდნაძეს,
ზაქათლის რ-ნის სოფ. ალიაბადის მცხოვრებ
ბალაევი ზაური ვაგიდის-ძის (ზ. ბალიაშვილის)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე, ბალაევი ზაური, დავიბადე 1962 წ. აზერბაიჯანში, ზაქათლის რ-ნის სოფ. ალიაბადში. ქართული საშ. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში დავამთავრე სამწლიანი ტექნიკუმი. მინდოდა იქვე მუშაობა, მაგრამ შექმნილმა ვითარებამ დამაბრუნა ჩემს სამშობლოში (საინგილოში), სადაც 1993 წ. ვიწამე ჩემი წინაპრების 1500 წლიანი სარწმუნოება — ქრისტიანობა აღვიდგინე სხვა ინგილოებთან ერთად. ქრისტე ჩემი სულის მაცხოვარი გახდა. ალიაბადში მცხოვრებთა ერთი ნაწილის მიერ ქრისტიანობის მიღებას ადგილობრივი ხელისუფლებისა და რ-ნის თანაშემწეობის პირთა დიდი აღშფოთება მოჰყვა.

ბატონო პრეზიდენტო! იმ დღიდან, რაც ქრისტიანობა მივიღეთ, ხელისუფლება გააფთრებით გვიტევს მრავალი მხრიდან. განვიცდით მძიმე დაწოლას, ცილისწამებას, ლანძღვას და ელემენტალური ადამიანური უფლებების ჩამორთმევას. აგრეთვე ხელისუფლება ცდილობს აგვიჯანყოს ხალხი და მოლები, აზერბაიჯანის მცირე ერების მინისტრი ჰიდაიათ ორუჯოვი და შეიხულისლამი ფაშაზადე ალიაბადში მოუწოდებდნენ მოსახლეობას ქრისტიანების იქვე გასრესას ან ალაზანს გაღმა, საქართველოში გასახლებას. ესეც არ იკმარეს და მორწმუნე ქრისტიანები სამსახურებიდან გამოგვრეკეს. მაჰმადიან ნათესავებსაც დაემუქრნენ: „თქვენც გაგრეკავთო, თუ მაგ ნათესავებს ჭკუაზე არ მოიყვანთო.“ როდესაც მივმართავთ სამსახურში აღდგენაზე, გვთხოვენ მუსლიმანური რელიგიისკენ დაბრუნებას.

ხელისუფალთა დახმარებით სოფლის საბჭოს თავმჯდომარე მრავალ პროვოკაციებს მიმართავს ჩვენს საწინააღმდეგოდ. იგი მილიციის უბნის ინსპექტორის დახმარებით, რომელმაც არ იცის მოსახლეობის ენა, ისეთ ატმოსფეროს გვიქმნის, რომ სოფლელებს ჩვენთვის მისალმებაც კი ეშინიათ. ესეც არ იკმარეს და ქუჩებში პლაკატები გამოაკრეს წარწერით, რომ წავსულიყავით სამლოცველოდ მეჩეთში. წინაააღმდეგ შემთხვევაში, ტყვია არ აგვცდებოდა. და მუქარა გაამართლეს კიდეც: ქრისტიანთა სამი ოჯახი დაცხრილეს ავტომატის მჭიდეებითა და ჯერებით. დაუყოვნებლივ შევატყობინეთ ხელისუფლებას, მაგრამ არავითარი ზომები არ მიიღეს, ღმერთის მფარველობა რომ არა, იმ ორ ღამეს ბავშვებისა და მშობლების მსხვერპლი მოჰყვებოდა უთუოდ.

მე პირადად ჩამორთმეული მაქვს მოქალაქეობრივი უფლებები, არ ვეკუთვნი არც საქართველოს და არც აზერბაიჯანს. ალიაბადში ხუთწლიანი ცხარე დევნის პერიოდში შემიდგინეს აქტი, სადაც ნაჩვენებია, რომ მე, ბალაევი ზაური, მამაპაპისეულ სოფელში ჩაუწერავად ვცხოვრობ და მეორეც, ცილი დამწამეს: უბნის ინსპექტორს უხეშად მოვექეცი და შეურაცხყოფა მივაყენე თითქოს, რასაც სინამდვილეში არ იკადრებს არცერთი ღვთის მორწმუნე. აქედან გამომდინარე, დამაპატიმრეს თხუთმეტი დღეღამე საკანში, შემდგომ ერთი დღე-ღამეც მიაყოლეს თავიანთი „სამართლით“ და მიბრძანეს, რომ ამოვწერილიყავი საქართველოდან აზერბაიჯანში ჩასაწერად. მე კანონს დავემორჩილე და ამოვეწერე საქართველოდან, მაგრამ უკვე

ინგილო ქალი
ქართულ ეროვნულ
ტანსაცმელში

წელიწადნახევარია ვარ ჰაერში გამოკიდებული და ვიმყოფები გამოუვალ მდგომარეობაში. ჩამორთმეული მაქვს ყველანაირი ადამიანური უფლებები და ღირსებები.

ჩვენს სოფელში განსაკუთრებით ჩვენი, ინგილო მოსახლეობის, ის ნაწილია დაუცველი, რომლებმაც ქრისტიანობა აღიდგინეს, ვინც ქართული გვარი აღიდგინა, ვინც ბავშვებს ქართული სახელები დაარქვა, ვინც მშობლიურ ენაზე სკოლას ითხოვს, საბავშვო ბაღს ითხოვს, ქრისტიანობის აღდგენა რომ სურს, საქართველოსთან კულტურული ურთიერთობის აღდგენა რომ სურს და ა. შ. მოკლედ, ვიდევნებით იმ ეროვნულ-რელიგიური უფლებების მომთხოვნი ინგილო-ქართველები, რასაც გვპირდება აზერბაიჯანის მოქმედი კონსტიტუციის მე-18, 25, 28, 44, 46, 48 და ა. შ. მუხლები.

აღნიშნული კატეგორიის ინგილოების, როგორც პიროვნებების, მოქალაქეების ხელშეუხებლობა პრაქტიკულად დაცული არაა, ტრადიციად გადაიქცა შუაღამისას ინგილო ოჯახებზე დაცემა, ე. წ. „აბლაევების“ მოწყობა, ოთახებში ავტომატიანების შევარდნა, საბნების გადახდა, ქალების, ბავშვების დაწიოკება, ჯარში გასაწვევი ინგილოს ძებნის მოტივით. სამი კვირის წინ, დილით, 10-12 მილიციელი შეუვარდა მასწავლებელ ზურაბ აბულაშვილს. ექვსი საათი რაღაცას ეძებდნენ. მის მეუღლეს, მასწავლებელს შეურაცხყოფაც მიაყენეს, ისედაც წნეხიანს უფრო აუწია წნევამ და ლოგინადაა ჩავარდნილი.

ბატონო ჰაიდარ! ბევრჯერ მოგწერეთ თქვენ და თქვენს სხვადასხვა უწყებებს, რათა ჩვენი სოფლის, ალიაბადის ქრისტიანული თემი გატარდეს რეგისტრაციაში და სამლოცველოდ შესაკრები ადგილი მოგვეცეს, ანდა ეკლესიის აშენების უფლება მოგვცენ, მაგრამ ვერავითარ პასუხს ვერ ვღებულობთ, როგორც თქვენგან, ისე თქვენი სამინისტროებისაგან. გთხოვთ დამეხმაროთ იმაშიც, რომ ჩემს მშობლიურ სოფელში ჩამწერონ. ნუთუ არ არსებობს თქვენს კონსტიტუციაში ჩემთვის კანონი, რათა ჰაერში არ დავრჩე, არამედ მეც მქონდეს დედამიწაზე ადგილი საცხოვრებლად.

ბატონებო! რასაც მე გთხოვთ, დარწმუნებული ვარ, მეკუთვნის და გვეკუთვნის კანონით. თუ აზერბაიჯანის კონსტიტუციის თანახმად არ დაგვაკმაყოფილებენ ზეწოლა-დამონებისა და დევნის პოლიტიკას, მაშინ იძულებული გავხდებით მივმართოთ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოსა და მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა ელემენტარული, ეროვნული, რელიგიური და ადამიანური უფლებები მოვიპოვოთ.

აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ მე ძალიან მეუხერხულება, ისიც მე-20 საუკუნის ბოლოს, აღნიშნული უფლებების მოპოვებისათვის, ისიც არაადამიანური დევნის პირობებში, ამდენი წლების ხარჯვა რომ გვჭირდება.

ბატონო ედუარდ! თქვენი ბატონ ჰ. ალიევთან არსებული გულწრფელი და კეთილმეზობლური, მეგობრული და ძმური ურთიერთობის ხათრით გვიშუამდგომლეთ მასთან, რათა თავისუფლად აღვიდგინოთ ქართველობა.

გემშვიდობებით, კარგად ბრძანდებოდეთ, ღმერთი იყოს ყველა კარგი და სამართლიანი ადამიანის მფარველი.

ამინ!

ზ. ბალაევი
07.28.98 წ.

მე-3 გვერდიდან

ქვეყნის გადარჩენის ჭეშმარიტი გზა ერთიანობაშია...

ქვეყნის გადარჩენას ვერც ერთი კაცის და ვერც ერთი პარტიის ჭკუა ვერ ეყოფა...

რომ გაერთიანების საკითხებისადმი სერიოზული, საპასუხისმგებლო და პირუთვნელი მიდგომების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს ნამდვილად ეყოფათ გამოცდილება, სულიერი, ინტელექტუალური, პროფესიული, მორალური პოტენციალი, შექმნან და შესთავაზონ საქართველოს ყველა პროგრამათა შორის საუკეთესო პროგრამა. პროგრამის შექმნის დროს საერთო მიზნებთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ ობიექტურად არსებული რეალობა, საქართველოში და მსოფლიოში დღეს შექმნილი მდგომარეობის ყველა დეტალისა და ნიუანსის ჩათვლით და უნდა ავამოქმედოთ ყველა დასაშვები და კანონიერი შესაძლებლობა, რაზეც და სადამდეც კი მიგვინვდება ხელი. რაც უმთავრესია, პროგრამის შექმნის დროს კერძო პიროვნულ თუ პარტიულ ინტერესებზე, შეხედულებებზე, პრინციპებზე განუზომლად და შეუდარებლად მაღლა უნდა დადგეს საერთო, საყოველთაო ეროვნული საქმის ინტერესები და მიზნები. იმის გარჩევა, რა არის საერთო ეროვნული და რა კერძო პიროვნული და ვინრო-პარტიული, ნამდვილად შეგვიძლია. ამიტომ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მთავარი ეროვნული და პატრიოტული ძალების გაერთიანებაა, გულწრფელი, დიდი მიზნისა და დიდი საქმის განხორციელების სამკვდრო-სასიცოცხლო აუცილებლობით ნაკარნახევი და გამოწვეული, გაერთიანება, თავიდან ბოლომდე, მაღალ და წმინდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თვითშეგნებასა და პასუხისმგებლობაზე, ერთმანეთის სიყვარულის, ნდობის, პატივისცემის, ერთმანეთისათვის მეგობრობასა და თავდადებაზე და ამავე დროს ერთმანეთისადმი ჯანსაღი, ფხიზელი, არამიკერძოებულ დამოკიდებულებებზე დაფუძნებული გაერთიანება და პროგრამის შექმნა ერთმანეთისაგან განუყოფელი პროცესია, რომლის გადადება არ შეიძლება და ჩვენი ჯიშის ავისმომტან თვისების გაუვნებელყოფის სწორუპოვარი საშუალება იქნება და ერი და ხალხი აღარ დარჩება მოტყუებული.

ასევე თავიდან ბოლომდე ვიზიარებ და ვეთანხმები იმ აზრს, რომ კაცობრიობის ისტორიაში არცერთ მოძრაობას, არც პოლიტიკურ, არც რეალურს, არც რელიგიურსა და არც ეროვნულს და არც სხვას არასოდეს გაუმარჯვნია გარედან დახმარების გარეშე, რომ მოსაძებნია უცხო გარეშე ძალა, რომელიც ამოუდგება მხარში და დაეხმარება ეროვნულ-პატრიოტულ გაერთიანებას. ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხთთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ შემდეგი:

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაკეთოთ ჩამონათვალი იმ ქვეყნებისა, რომელთა დახმარების ფუჭი იმედი არ უნდა ვიქონიოთ და უაზრო ლოდინში დრო არ უნდა დავკარგოთ. საქართველოსთან მიმართებაში, საქართველოთი მეტნაკლებად დაინტერესებული მსოფლიო ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა. ეს ძირითადი ძალებია:

1. დასავლეთი აშშ-ს ლიდერობით;
2. რუსეთი;
3. საქართველოს მეზობელი-მოსაზღვრე ქვეყნები;
4. მაჰმადიანური სამყარო.

რუსეთის დახმარების იმედი საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა არ უნდა ვიქონიოთ, ეს მწარე, დამლუპველი და მიუტევებელი შეცდომა იქნება. სავსებით ბუნებრივია, რომ რუსეთი არცერთ შემთხვევაში არ დაეხმარება საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს, რადგან რუსეთის იმპერიული გაცნობიერებული მიზანია, რომ საქართველო ან საერთოდ არ იყოს, ან იყოს დასუსტებული, დაუძლურებული, დაშლილი, დანგრეული, მშიერი და გაღატაკებული, მაშინ როდესაც ეროვნულ-პატრიოტული ძალების მთავარი მიზანია თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი, მდიდარი, აღორძინებული და ძლევამოსილი საქართველო. თითოეული ჩვენთაგანის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა ერისა და სამშობლოს წინაშე უცილებლად მდგომარეობს იმაშიც, რომ საზოგადოებას, ერს, თანამემამულეებს მიუკერძოებელი, სრული სიმართლე ვუთხრათ ქართველი ერის ისტორიის შესახებ და აქედან გამომდინარე ჩვენ ერთ-ერთი მოვალეობაა ამომწურავი და ეჭვმიუტანელი ინფორმაციის გავრცელება იმ დამანგრეველი, დესტრუქციული, ძირგამომთხრელი და მზაკვრული სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ, რომელსაც იმთავითვე პერმანენტულად და განუწყვეტლივ აწარმოებდა რუსეთი ქართველი ერის, მისი სახელმწიფოებრიობის, ინტერესებისა და კეთილდღეობის წინააღმდეგ.

მაჰმადიანური ქვეყნების რეალური დახმარების იმედიც ტყუილად არ უნდა ვიქონიოთ ორი ძირითადი მიზეზის გამო. როგორც მტაცებელი, რა გინდ კარგად გაწრთვნილი, ვერ მოიშლის თავის მტაცებლურ ბუნებას, ისე მაჰმადიანი ერები და ქვეყნები ვერ მოიშლიან ისლამური ფუნდამენტალიზმის ავბედით ზრახვებს და მათ მეგობრული, გულწრფელად კეთილშობილური დამოკიდებულება ბუნებრივად ვერ ექნებათ საქართველოს მიმართ, რომელიც თავისი ინდივიდუალური და თვითმყოფადი ნაციონალური რეალიებითა და ატრიბუტიკით, აუცილებლად არის საერთო მსოფლიო დიდი ქრისტიანული და ევროპული ცივილიზაციის ორგანული შემადგენელი ნაწილი. გარდა ამისა, მსოფლიოში, არც შორს და არც საქართველოს მახლობლად, არ არსებობს ერთი რომელიმე მაჰმადიანური სახელმწიფო ან სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც თავისი ფინანსურ-ეკონომიკური ან სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობებით ახლოს მივა დასავლეთის ძლიერეებასთან და პოტენციალთან და დასავლეთს გაუწევს კონკურენციას, სხვა სახელმწიფოებში და მათ შორის საქართველოში, პოლიტიკური პროცესების წაყვანა-მართვაში. ასე რომ, სასნაულიც რომ მოხდეს და რომელიმე მაჰმადიანურ სახელმწიფოს გაუჩნდეს საქართველოსთვის სერიოზული დახმარების სურვილი და აქედან გამომდინარე, მოინდომოს საქართველოში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩარევა, იგი, რომელი მაჰმადიანური სახელმწიფოც არ უნდა იყოს, დღეიდან სულ ცოტა კიდევ 50 წელი აშშ-ს და დასავლეთის კონკურენტი ბუნებრივად ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, მაჰმადიანურ სახელმწიფოებზე აქცენტის გაკეთება, დახმარების მიღების მიმართულებით, ასევე მწარე და სერიოზული შეცდომა იქნება.

რაც შეეხება ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს და ქვეყნებს, რომ იტყვიან, ყველა მათგანს თავი, რიგ მიზეზთა და მიზეზთა გამო, ისე გასჭირვებია, რომ ვერცერთი მათგანი თავს უფლებას ვერ მისცემს სერიოზული დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს, მით უფრო დასავლეთისაგან დამოუკიდებლად და საქართველოში მიმდინარე პროცესებში ჩარევისა და მონაწილეობის ხარისხით კონკურენცია შეჰბედონ ან დასავლეთს, ან რუსეთს.

ინდოეთიდან, ჩინეთიდან, აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის შორეული ქვეყნებიდანაც არ უნდა ველოდოთ სერიოზულ დახმარებებს, დღეიდან, სულ ცოტა, კიდევ 20 წელი. ასე რომ, ერთადერთი გარეშე ძალა, რომლის დახმარების იმედი ჩვენ უნდა გვქონდეს, ვისზეც გაერთიანებულმა ეროვნულმა და პატრიოტულმა ძალებმა უნდა გააკეთოს სერიოზული და სტრატეგიული არჩევანი, ეს დღევანდელ მსოფლიოში, არის მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთი, თავისუფალი, ცივილიზებული და მაღალგანვითარებული დასავლეთი. საქართველოსთვის, საქართველოს ეროვნული და პატრიოტული ძალებისთვის, დღეიდან მომავალში კიდევ სულ ცოტა 50 წელი, სხვა არჩევანი, უბრალოდ, ფიზიკურად არ არსებობს. დასავლეთს გარდა ჩვენთვის ალტერნატივა არ არსებობს. სხვა არჩევანის გაკეთება საბედისწერო და დამლუპველი იქნება როგორც საქართველოს ეროვნულ-პატრიოტული ძალებისათვის, ასევე მთლიანად საქართველოსათვის და ქართველი ერისათვის.

დასავლეთი არის ამერიკის შეერთებული შტატები პლიუს დასავლეთ ევროპის ქვეყნები პლიუს დასავლეთზე (ნატოსა და ევროკავშირზე) სტრატეგიულად ორიენტირებული აღმოსავლეთ ევროპისა და შავიზღვისპირეთის სახელმწიფოები. დასავლეთი არის საერთო სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების ქვეშ კონსოლიდირებული თავისუფალი, დამოუკიდებელი, მდიდარი, მაღალგანვითარებული და ძლიერი სახელმწიფოების გაერთიანება. დასავლეთი არის უდიდესი და უძლიერესი პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და ფიზიკური პოტენცია და რეალობა. დასავლეთი არის თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი უპირველესი ძალმოსილების მქონე მრავალსახელმწიფოებრივი ერთობა, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა იმ გლობალურ მსოფლიო პოლიტიკურ დაპირისპირებაში, რომელიც ორმოც წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან.

დასავლეთმა კანონზომიერად და ლოგიკურად დაამარცხა რუსეთის უდიდესი და უძლიერესი იმპერია. დასავლეთი არის მრავალფეროვანი, მაგრამ საერთო გლობალური ქრისტიანული და ევროპული ცივილიზაციის, კულტურის მთლიანობა, რომლის ნაწილი აუცილებლად იყო, არის და ყოველთვის იქნება საქართველო. დასავლეთი არასოდეს ებრძოდა საქართველოს, მის თავისუფლებასა და კეთილდღეობას. დასავლეთს აქვს სტრატეგიული ინტერესები საქართველოში. დასავლეთი, თავისი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიზნებიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარე, სერიოზულად და რეალურად არის დაინტერესებული საქართველოს თავისუფლებით, დამოუკიდებლობით, ერთიანობით, მთლიანობით, სტაბილიზაციით, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური განვითარებითა და კეთილდღეობით. გეოპოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში დასავლეთი სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული საქართველოს სახით ჰყავდეს მეგობარი, სტრატეგიულად მოკავშირე და პარტნიორი სახელმწიფო. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს უამრავი ფაქტობრივი მასალა თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პოლიტიკური ცხოვრებიდან. დასავლეთზე არჩევანის გაკეთება ნიშნავს უდიდეს ფინანსურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო ძალაზე, თავისუფალ, პროგრესულ, გამარჯვებულ, ბუნებრივად მოკავშირე და პარტნიორ, წამყვან ძალაზე არჩევანის გაკეთებას. არასწორ ორიენტაციას, არასწორ არჩევანს ხშირად დაღუპვამდე მიჰყავს ერი და ქვეყანა. ამიტომ ქართველთა დღევანდელი თაობები თუ მწარედ და საბედისწეროდ შევცდებით და არჩევანს თავისუფალ და ცივილიზებულ დასავლეთზე არ გავაკეთებთ, უდიდეს და გამოუსწორებელ უბედურებასა და ვნებას მოვუტანთ ჩვენს სამშობლოს.

ჩემი თქვენდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ დასავლეთმა რუსეთთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოში, შევარდნაძისა და აბაშიძის დაჯგუფების სახით, ორი პოლიტიკური ძალის შექმნაში. ის, რომ დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე სერიოზულ და მნიშვნელოვან ძალად შევარდნაძისა და აბაშიძის დაჯგუფება გამოიყურება, სამწუხარო და სამარცხვინო რეალობაა, მაგრამ მერწმუნეთ, ბატონო აკაკი, ნამდვილად ვიცი, რომ დასავლეთს არც შევარდნაძისა და არც აბაშიძის, მით უფრო აბაშიძის დაჯგუფების შექმნაში მონაწილეობა არა აქვს მიღებული. საერთოდ, დასავლეთი ბოლო ხანებში ძალიან ცდილობს სხვა ქვეყნების პოლიტიკურ დაჯგუფებათა შექმნაში რაც შეიძლება მინიმალური მონაწილეობა მიიღოს. ამას დასავლეთი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებისადმი პატივისცემით ხსნის. როგორც შევარდნაძის, ასევე განსაკუთრებულად აბაშიძის დაჯგუფების შექმნა გარეშე ძალებიდან მხოლოდ რუსეთს უკავშირდება. დასავლეთი, უბრალოდ, იძულებულია, დიდი პოლიტიკის თამაშის წესებიდან გამომდინარე, ჰქონდეს გარკვეული ურთიერთობა ამა თუ იმ ქვეყნის და მათ შორის საქართველოს წამყვან პოლიტიკურ ძალებთან. ვინაიდან საქართველოში ორი ძალა გამოიკვეთა, ყველა სხვა ძალებთან შედარებით უფრო ძლიერად, დასავლეთი, უბრალოდ, ანგარიშს უწევს შექმნილ რეალობას, მაგრამ ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანების შემთხვევაში, თუ მესამე დიდი ძალა ჩამოყალიბდება, დემოკრატიული, დასავლური ორიენტაციის, დასავლეთი აუცილებლად ყოველ მიზეზგარეშე პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ოფიციალურად თუ კონფიდენციალურად მხარს დაუჭერს ეროვნული და დემოკრატიული ძალების გაერთიანებას. ამას მალაპარაკებს არა მარტო ლოგიკა, არამედ დასავლეთის პოლიტიკოსებთან ურთიერთობებში მიღებული ჩემი და სხვა ქართველ პოლიტიკოსთა მდიდარი გამოცდილება, ამასთან ერთად დასავლეთის პოლიტიკოსთა აზროვნების, მიდგომების, შეხედულებების, პოზიციებისა და დამოკიდებულებების, მიზნებისა და თვალსაზრისის ამსახველი მდიდარი პოლიტიკური ლიტერატურა.

ეროვნულმა, პატრიოტულმა და დემოკრატიულმა ძალებმა მყარი, სოლიდური და დიდი გაერთიანების შექმნით რეალურად განხორციელებადი სერიოზული და გონივრული პროგრამის შექმნით უნდა დავანახოთ საქართველოთი დაინტერესებულ მსოფლიოს საქართველოში ახალი, ძლიერი, ანგარიშგასაანევი, დემოკრატიული და პროგრესული პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება და მერწმუნეთ, ბატონო აკაკი, ეს ძალა მსოფლიოში და, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთში აუცილებლად იპოვნის ძალიან ბევრ მეგობარს, პარტნიორსა და მოკავშირეს. ეს მოკავშირეები და მეგობრები ნაპოვნია, მათთან, უბრალოდ, სერიოზული ძალებითა და საქმით მისვლაა საჭირო, რამეთუ დღევანდელი პრობლემებით აღსავსე, მაღალგანვითარებულ და საქმიან მსოფლიოში უსაგნო და უშედეგო ლაპარაკისათვის დიდი ხანია უკვე აღარავის სცალია.

რაც შეეხება თქვენს პოლიტიკურ საქმიანობაში არმონაწილეობას იმის გამო, რომ არჩევნებში ორჯერ დამარცხდით, გამართლება არ ექნება. არჩევნებში თქვენი დამარცხება არამც და არამც არ უნდა აიხსნას ქართველი ხალხის თქვენდამი უნდობლობით. თქვენი არჩევნებში დამარცხება უშუალო შედეგია იმ დიდი განხეთქილების, დაპირისპირების, დაქსაქსულობის, რომელმაც ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ იმძლავრა ქართველ ერში, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მე მესმის თქვენი, როგორც ღირსეული და მოაზროვნე კაცის, თავმოყვარეობის, მაგრამ მერწმუნეთ, თქვენი აქტიურობით თქვენ თავს კიდევ უფრო შეაყვარებთ ქართველ ხალხს და ფუტკრის როლში გამოხვალთ და არა აბეზარი ბუზისა, რამეთუ ხალხისათვის თაფლივით ტკბილი, სასურველი და მარგებელი იქნება თქვენი და თქვენისთანა მამულიშვილების ძალისხმევისა და შემოქმედების ნაყოფი. დიდი ვაჟა ამბობდა — „ვისაც მაუკლავს, ის მახკლავს ხარსა ირემსა რქანსა.“ იმ ტყეს, რასაც საქართველო და მისი პოლიტიკური ცხოვრება ჰქვია, ტურა-მგლები, ყვავ-ყორნები დაეპატრონენ, ლომები, ვეფხვები, მგლები და არწივები თითქმის აღარ მოსჩანან, არიან, მაგრამ მათთვის და რაც მთავარია, ქვეყნისათვის შეუფერებელ მდგომარეობაში. დღეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აღზევებულთა და გააქტიურებულთა დიდი უმრავლესობა მთელი თავისი შესაძლებლობებითა და ბუნებით ძალიან საშუალო, ხშირ შემთხვევაში საშუალოზე ბევრად დაბალი, პატარა კაცები არიან. მაღალი ზნეობის, დიდი ნიჭიერებისა და განათლების, მაღალი ინტელექტუალური, პიროვნული შესაძლებლობების მქონე მამულიშვილები ჩრდილში დგახართ გათითოკაცებული და მიმოფანტული. განა ეს სამართლიანი და მოსათმენია? ყვავ-ყორნების, ტურების, მელაკუდებისა და გოშიების ხელში ჩავარდნილი საქართველო არ გეცოდებათ? კაცობრიობისა და ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არასდროს პატარა კაცებს დიდი საქმე არ გაუკეთებიათ. მაშ გამოდით, გამოეფინეთ, გაერთიანდით საქართველოში მიმობნეული და მიმოფანტული დიდი, ნიჭიერი, ღირსეული მამულიშვილები, ददაგუგუნეთ, მთა და ბარი, ერი და ქვეყანა ददაგუგუნეთ და იხსენით და გადაარჩინეთ ქართველი ერი და საქართველო! ასე ყოფილა ყოველთვის და თუ იქნება, მომავალშიც ასე იქნება, რამეთუ „ვისაც მაუკლავს, ის მახკლავს ხარსა ირემსა რქანსა!“

ამ წერილის მიღების შემდეგ აუცილებლად და ყოველმიზეზგარეშე გინახულებთ. კიდევ უფრო კონკრეტული წინადადებებით მოვალ და კიდევ უფრო ყურადღებით მოგისმენთ. სადამდეც და ვისაც მივწვდები, ყველგან და ყველასთან მივალ. იოანე მარუშიძესავით მრავალჯერ მოვივლი მთელ საქართველოს, ოღონდ ეშველოს მას, ოღონდ გადარჩეს, გამოლიანდეს, განთავისუფლდეს, გაძლიერდეს და აღზევდეს მრავალსაუკუნოვან ისტორიულ ქარცეცხლსა და გრიგალებში გამოვლილი და დღემდე მოსული ქართველი ერი!

საუკეთესო სურვილებით, პატივისცემითა და იმედებით!

გფარავდეთ მაღალი ღმერთი!

ირაკლი წერეთელი
14 სექტემბერი
1998 წ. ქრისტეშობიდან

„მკვდრის გვამზე მოყაშაშეთა“

ვაჟა-ფშაველა

გაზ. „საქართველო“ არც ლიტერატურულ კრიტიკას ბეჭდავს, არც მხატვრულ ლიტერატურას პოლიტიკური სატირის გარდა. ამჯერად გამონაკლისი უნდა დავუშვათ, რადგან ბატონ ვ. ჭელიძის წერილი „მაოხრებელი მკვდარი“ გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ პოლიტიკური გამოლაშქრებაა და არა ლიტერატურული. იგი შეტევაა არა ზ. გამსახურდიას და კ. გამსახურდიას ლიტერატურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ, არამედ იმ პოლიტიკური მიმართულების — საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების — წინააღმდეგ, რომელსაც ზ. გამსახურდიამ თავისი მთელი შეგნებული ცხოვრება შესწირა, ხოლო კ. გამსახურდია მთელი თავისი შემოქმედებით ემსახურებოდა. რაც არ უნდა თქვან ზ. გამსახურდიას მაგინებლებმა მისი პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, ფაქტია, რომ მან, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში მდგარმა, ჩაატარა 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე, უზენაეს საბჭოში ერთხმად გაატარა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და უზენაესი საბჭოს დანარჩენ წევრებთან ერთად გააუქმა ქართლის შუაგულში ორჯონიკიძისა და მისი თანამედროვე ნაძირალების მიერ მოწონებული, ოკუპანტების მიერ შექმნილი „ოსეთი“, რომელსაც თანამედროვე ორჯონიკიძეები და მათი მომხრე სხვა ნაძირალები დღეს აღდგენას უპირებენ. სუსტი ნერვული სისტემის კაცი იყო ზ. გამსახურდია? მის ნათესავ მანდოლოსნებს ქვეყნის მძიმე ტვირთის საზიდად ეცოდებოდათ? (ასე გვამცნობს ბატონი ჭელიძე). შესაძლებელია, მაგრამ მერე რა? განა უფრო საქები არ არის, თუ სუსტმა ჭაბუკმა დაუძლეველი ტვირთი თავს იდვა, რადგან დაინახა, რომ მის აღებას არავინ სხვა, მასზე ძლიერი არ აპირებდა? ბატონ ვ. ჭელიძის მთელი მსჯელობა ზ. გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ (სრულებით უსაბუთო მსჯელობა) მხოლოდ ცილისწამებაა, ღვარძლიანი ანეკდოტებით შეზავებული, რომელსაც დღეს ვეღარ შეამოწმებთ და ვერ გამოედავებით, რადგან ცილისწამების ობიექტი ცოცხალი აღარაა. ჟურნალისტებს მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ წარსულის უსიერ ტევრშიც ე. წ. ჟურნალისტური „მოკვლევა“ ჩავატაროთ და თუ ბატონ ვ. ჭელიძის ბიოგრაფიზე არა (იგი ჩვენ არ გვაინტერესებს), იმ წრეზე მაინც მოვიპოვოთ დამახასიათებელი ინფორმაცია, რომლის სულისკვეთებასაც ჩვენი ავტორი ღაღადებს.

ყველაზე შთამბეჭდავი რჩევა „კ. გამსახურდიას კრიტიკას თავი დაანებეთორემ გაგსრესსო“ მისთვის მიუცია გ. ჯიბლაძეს, რომელიც იმ დროს „მწერალთა კავშირის მდივანი იყო და შეთავსებით გაზ. „კომუნისტის“ რედაქტორიც“, მაშასადამე — კომუნისტური ხელისუფლების ბიათვის ბირთვს ეკუთვნოდა. ვინ იყო ეს გ. ჯიბლაძე? ლიტერატურასა და მეცნიერებაში კომუნისტური ხაზით შეჭრილი პარტმუშაკი, რომელიც 1946 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს ამხილეს პლაგიატში, სახელდობრ იმაში, რომ თავისი დისერტაცია „ლიტთეორიის“ რუსული სახელმძღვანელოდან გადმოწერა, რომელსაც გიმნაზიაში იყენებდნენ. გადმოწერა, მაგრამ სწორად ვერ გადმოწერა, მაგალითად გამოთქმა „ბოჟი პრომისელ“ „ღვთის განგებად“ კი არ თარგმნა, არამედ „ღვთის სარეწად“. არაოფიციალური ოპონენტი, რომელმაც იგი პლაგიატში ამხილა, იყო ვაჟა-ფშაველას ცნობილი მკვლევარი გრ. კიკნაძე, რომელსაც გ. ჯიბლაძე ხელისუფლებასთან ერთად აქტიურად დევნდა, როცა ვაჟა-ფშაველას ჩაქოლვის კამპანია იყო გაშლილი. გ. ჯიბლაძეს ერთი მახლობელი კი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ის რექტორი გახლავთ, რომელმაც 1989 წლის 18 თებერვალს კომკავშირელი სტუდენტები მილიციასთან ერთად პატრიოტი სტუდენტების დემონსტრაციის დასარბევად მიუშვა (ამ „ოპერაციის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი, ბატონი ადეიშვილი დღეს შევარდნაძის გუნდის ერთ-ერთი ბურჯია). ის, რასაც ავტორი გადმოგვცემს ოცი და ოცდაათი წლის წინანდელი სამწერლობო წრეების დამოკიდებულებაზე კ. გამსახურდიისადმი, სხვა არა არის რა თუ არ ამ სოციალური კლოაკის ანუ კანალიზაციის მაგისტრალური მილის ატმოსფეროსა და სულისკვეთების გამოცცხლება.

ეს ადამიანები, ბატონ ვ. ჭელიძის გადმოცემით, შიშითა და სიძულვილით იხსენებდნენ კ. გამსახურდიას. „მას ვინ რას შეპეტდავს და წინ ვინ დაუდგებაო“. და მათ აშფოთებდა ის, რომ კ. გამსახურდიას თავისი ტომების 40 ათას ცალად გამოცემა უნდოდა — თითო ცალად საქართველოს მოსახლეობის ას სულზე. კ. გამსახურდიას თავისი ტომების 40 ათას ცალად ქალალდის უფრო ყაირათიანი ხარჯვაა, ვიდრე თვით მათი თხზულებებისა თუნდაც 4 ცალად. ის სიმწარე მათ, ეტყობა, იმ დროიდან გამოჰყვათ და ჯავრის ამოყრა ახლა ბატონ ვ. ჭელიძის ხელით მკვდრებზე განუზრახავთ.

ისიც მოვიკვლიეთ, რომ ბატონი ვ. ჭელიძე წლების მანძილზე საქართველოს ყველაზე დიდი გამომცემლობის დირექტორი იყო, რის

გამოც მისი ბეჭდური პროდუქცია მოცულობით კ. გამსახურდიასას არ ჩამოუვარდებოდა. დასპეციალებული იყო დიდი ინგლისელი მწერლების თარგმანზე (შექსპირისთვისაც კი ხელი გაუკრავს), მაგრამ „დუშაში“ მაინცდამაინც არ დასჯდომია და არც ერთი დიდი მწერალი მის თარგმანში დიდ მწერლად არ გამოიყურება. ესეც, მართალი რომ ვთქვათ, ჩვენი საქმე არ არის. მაგრამ ის კი გვაინტერესებს, რით „აოხრა“ ზ. გამსახურდიამ ბატონ ვ. ჭელიძის აზრით საქართველო თავისი სიკვდილის შემდეგ? თურმე იმით, - რომ ახლახანს გამოცემულ მემუარებში ბატონ ვ. ჭელიძეს „დიდი მექრთამე“ უწოდა! ადვილად შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ეს ბრალდება სიმართლეს არ შეიცავს. მაგრამ გვაინტერესებს: ნუთუ ამის დაწერა — თუნდაც ტყუილი და ცილისწამება იყოს — „საქართველოს აოხრებად“ ჩაითვლება ისეთ დროს, როცა ჩვენი ქვეყნის ცოცხალ მაოხრებლებს დილიდან საღამომდე ტელეეკრანზე ვხედავთ? არათუ ცოცხლებს — იმდენად ჯანმრთელებს, რომ მათ ჩემპიონსა და წინამძღოლს თურმე მხცოვან ასაკში 40 წლის კაცის ტვინი აქვს! (რა ასაკის ტვინი ჰქონდა 40 წლის ასაკში, ამაზე მედიცინა დუმს).

თვით ბატონ ვ. ჭელიძის, როგორც ლიტერატორის, დახასიათება ჩვენს მიზანს არ შეადგენს. მაგრამ მისი ღირსება, როგორც გრამატიკოსისა, მის წერილშიც „მაოხრებელი მკვდარი“ კარგად ჩანს. იგი წერა-კითხვის ცუდად მცოდნე კაცი გახლავთ. მაგალითად, იგი წერს:

„მკითხველს ბოდიშს ვუხდი, მაგრამ ასე დაწერილებით იმიტომ შევჩერდი, რათა უფრო თვალსაჩინოდ დავინახოთ, რა ხარბი გატაცებით უყვარდა ზვიადს ფული“ („იმიტომ“ და „რათა“ ერთად არ შეიძლება. უნდა ან „იმიტომ, რომ“ ან მხოლოდ „რათა“ ან, უკიდურეს შემთხვევაში — „იმისთვის რომ“, „იმისათვის რათა“).

ავტორს არც იურისპრუდენციის ცოდნა მოსდევს უხვად. იგი განსვენებულს (ზ. გამსახურდიას) მიანერს სხვა პიროვნების (კ. გამსხურდიას) ხელმოწერის გაყალბებას და აზრადაც არ მოსდის, რომ ეს დანაშაულია და რომ კაცისთვის დანაშაულის მიწერის უფლებას ე. წ. „უდანაშაულობის პრეზუმპცია“ გვიზღუდავს!

თავისი სულისკვეთებით ბატონ ვ. ჭელიძის წერილი მოგვაგონებს ფრანგული ლიტერატურიდან ცნობილ ერთ ეპიზოდს: პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ პარიზში დაბრუნებული კოკოტები (ძვირმეძავები) ქუჩაში რომ დახვრეტილ კომუნარების გვამს წააწყდებოდნენ, თვალებში ქოლგის წვერს სჩხვლეტდნენ. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ დამარცხებულა. არც დამარცხდება, მაგრამ მსხვერპლი კი მრავალრიცხოვანი ჰყავს.

ნუ იკადრებთ მიცვალებულთა შეურაცხყოფას, ბატონებო!

ლენინური პრემიის ლაურეატი პლაგიატორი?

ისტორიკოს პეტრე უშაკოვის საიდუმლოება

ასეთი გვარისა და სახელის მქონე ისტორიკოსის შესახებ პირველად 30 წლის წინათ, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მისვლისას გავიგე. სახელდობრ შევიტყვე, რომ იგი მუშაობდა ურარტოლოგიის დარგში, დაწერილი ჰქონდა რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომი (ხელნაწერების სახით), რომლებიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მითქმა-მოთქმა ამ საქმის ჩადენას უკავშირებდა ინსტიტუტის დირექტორს, აკად. გიორგი მელიქიშვილს. რა თქმა უნდა, რამდენიმე ადამიანის დასწრებით, ამას ვერ ამბობდნენ. მითქმა-მოთქმისავე მიხედვით რომელიღაც ნაშრომი თუ ნაშრომები გიორგი მელიქიშვილისათვის გაუტანებია ბიბლიოთეკის თანამშრომელს ბატონ ბეჟან გიორგაძეს. მე პირადად რამდენჯერმე ვთხოვე ბატონ ბეჟანს დაედასტურებინა ან უარეყო მსგავსი ფაქტი. პასუხად იგი სდუმდა ხოლმე და თან იღიმებოდა. ჩემგან განსხვავებით ბატონ ბეჟანს ერთ-ერთი, დღეს ცოცხალი ისტორიკოსისათვის უამბნია თუ რა ვითარებაში გაუტანებია გიორგი მელიქიშვილისათვის პეტრე უშაკოვის ნაშრომი თუ ნაშრომები. როგორც ვიცით, პირველად ბატონი ბეჟანი პოლიტიკური პატიმროებიდან განთავისუფლების შემდეგ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში სამუშაოდ 1945 წელს, ომის დამთავრების ახლო ხანებში, მოვიდა და ჩანს, თუ ეს მართლაც ასე მოხდა, მომხდარ ფაქტს სწორედ ამ პერიოდს უკავშირებდა.

რამდენიმე მოწმე გადმოსცემდა (აწ გარდაცვლილი) და გადმოსცემს (ახლაც ცოცხალი) იმასაც, რომ 1943 წელს გარდაცვლილი პეტრე უშაკოვის მეუღლე ამაოდ შესჩიოდა ნაცნობებს, რომ გიორგი ქსენოფონტოვმა (გიორგი მელიქიშვილის მაშინდელი გვარია) წაიღო ჩემი ქმრის ნაწერები და აღარ აბრუნებსო. აღნიშულ მითქმა-მოთქმას დიდად აძლიერებდა პროფ. სარგის კაკაბაძე, რომელიც ყოველ შემთხვევაში ჯერ კიდევ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში მუშაობის დროს იცნობდა პეტრე უშაკოვს და ამის შემდეგ მასთან სიკვდილამდე მეგობრობდა. ცხადია, ბატონ სარგისს კარგად ეცოდინებოდა თუ რა ნაშრომები დატოვა პეტრე უშაკოვმა, რომლებიც შემდეგ უკვალოდ გაჰქრა. როცა, 1957 წლის გაზაფხულზე, ხმა დაირხა, რომ გიორგი მელიქიშვილს თავისი ნაშრომისათვის „ურარტუული ლურსმული წარწერები“ ლენინურ პრემიას აძლევდნენ, ბატონი სარგისი საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივან ვასილ მჟავანაძესთან შესულა და გაუცხადებია, რომ როგორ შეიძლებოდა პლაგიატორისათვის ასეთი პრემიის მიცემაო. ვასილ მჟავანაძეს უპასუხნია: შე შურიანო, განა ცუდია რომ ასეთ ჯილდოს ქართველი კაცი მიიღებსო. ამის შესახებ ბატონმა სარგისმა უამბო ერთ-ერთ ცნობილ ისტორიკოსს (დღესაც ცოცხალსა და ჯანმრთელად მყოფს), სხვათა შორის, იგივეს, რომელსაც თავის დროზე ბატონმა ბეჟან გიორგაძემ უამბო ზემოთ მოთხრობილი ამბავი. მიუხედავად ამისა, პროფ. სარგის კაკაბაძე არ შემდრკალა და აპირებდა გაემხილა პეტრე უშაკოვის ნაშრომების საიდუმლო 1965 წლის საკავშირო საისტორიოგრაფიო სესიაზე, რომელიც ისტორიის ინსტიტუტში 1965 წლის შემოდგომაზე უნდა გამართულიყო. როგორც ბატონ სარგისის ქალიშვილი ქალბატონი ლია გადმოგვცემს, იგი ხშირად აღშფოთებით იმეორებდა ხოლმე: მოსკოვში გარდაიცვალა ესა და ეს მეცნიერი და მისი ნაშრომები დაბეჭდეს, აქ, თბილისში, კი გარდაცვლილი კაცის ნაშრომებს ითვისებენ და ამას როგორ მოვითმენო.

პეტრე უშაკოვი მუშაობდა ენიმკისა და შემდეგ ისტორიის ინსტიტუტის იმ განყოფილებაში, რომელსაც სათავეში ედგა ბატონი გიორგი წერეთელი. ამ უკანასკნელის ნათესობაში და ნაცნობთა წრეში არიან მომსწრენი, „თანადამხდურნი“ (როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა ხოლმე), რომელთა წრეშიც ბატონი გიორგი წერთელი გიორგი მელიქიშვილს პლაგიატორის ეპითეტით მოიხსენებდა.

ახლა დავსვათ კითხვა: მთლად უსაფუძვლო იყო ეს მითქმა-მოთქმა და ბრალდებანი, თუ რუსებისა არ იყოს, „ნეტ დიმა ბეზ ოგნია?“ იქნებ გიორგი მელიქიშვილის მოშურნეებმა ასეთი მითქმა-მოთქმა და ბრალდებანი „შეთითხნეს“ 1957 წლიდან მოკიდებული, როცა იგი ლენინური პრემიის ლაურეატი გახდა? მაგრამ ზემოთ ხომ დავინახეთ, რომ ბატონ ბეჟან გიორგაძეს თითქოს 1945 წელს გაუტანებია გიორგი მელიქიშვილისათვის პეტრე უშაკოვის ნაშრომი თუ ნაშრომები. მე პირადად ძველი თაობის რამდენიმე წარმომადგენლისაგან გამიგია, რომ აღნიშნულ კრიმინალს ადგილი ჰქონდა 40-იანი წლების მეორე ნახევარში. ასე რომ, მითქმა-მოთქმის გაჩენის დაკავშირება 1957 წელთან სავსებით გამორიცხული გახლავთ. კვლავ, სავსებით ბუნებრივად, ასეთი კითხვა დაისმის: რაკი ასეთი, ვთქვათ, ჭორი თუ ცილისწამება აგორდა, — ჯერჯერობით თავი დავანებოთ საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ, — განა გიორგი მელიქიშვილისათვის ძნელი



იყო კომისიის გამოყოფის მოთხოვნა და ამ გზით თავისი უდანაშაულობის დამტკიცება. მაგრამ ფაქტია, რომ ეს მას არ გაუკეთებია. მეტსაც მოგახსენებთ, 1993 წლის იანვარში, ინსტიტუტის საერთო კრებაზე, წლიური ნაშრომების შეჯამებისას, მე წამოვაყენე წინადადება შეგვექმნა კომისია, რომელიც გამოიკვლევდა პეტრე უშაკოვის ხელნაწერების ბედ-ილბალს და კომისიაში ერთ-ერთ წევრად ჩაგვერთო გიორგი მელიქიშვილი. ეს უწყინარი წინადადება გიორგი მელიქიშვილმა გაწიწმატებით უარყო, თანაც განაცხადა, რომ მე ვიმეორებდი ცილისწამებას, რომელსაც თავის დროზე სათავე დაუდო სარგის კაკაბაძემო. მე მივუგე რომ ამასვე იმეორებდა გიორგი წერეთელიც, რაც გიორგი მელიქიშვილმა უტიფრად უარყო, თუმცა მე კრებას შევთავაზე ამ ცნობის შემოწმება. 1994 წელს გიორგი მელიქიშვილთან ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გაზეთ „შვიდი დღიდან“ ორი ახალგაზრდა ჟურნალისტი ქალი მივიდა. როგორც კი მას უხსენეს პეტრე უშაკოვის შესახებ, ამაზე გიორგი მელიქიშვილი წამოენთო და შეჰყვირა: რა, აქ დაკითხვას მიწყობთო და კორესპონდენტები კი უბოდიშოდ გარეთ გამოჰყარა.

ამჯერადაც კითხვას დავსვამთ: რა იყო ჩემს წინადადებასა და „შვიდი დღის“ კორესპონდენტების შეკითხვაზე გასაბრაზებელი? შეგვექმნა კომისია, აუღელვებლად გაეცა შეკითხვაზე პასუხი. ქართული ანდაზა ხომ ამბობს: ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო და გიორგი მელიქიშვილის სათანადო ქცევას შეუძლია ამის დამტკიცება მოცემულ შემთხვევაშიც. მაგრამ როცა მავანთ რაიმეს შეხსენება აღიზიანებთ, დიდად აგრესიულს ხდის, ამ შემთხვევაში გვაგონდება ცნობილი რომაული გამოთქმა: კეისარო! შენ ბრაზობ, ე. ი. მართალი არა ხარ.

ზეპირგადმოცემების მოტანის შემდეგ შევჩერდებით ერთ გარემოებაზე, კერძოდ გიორგი მელიქიშვილის ხასიათის რიგ ნიშან-თვისებებზე. ასეთი თვისებები მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოავლინა და მითუმეტეს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში 33 წლიანი დირექტორობისას. მე მოგახსენებთ უდიდეს ცბიერებასა და უღირსობაზე, რის შემჩნევაც ოდნავ კრიტიკული აზროვნების მქონე ადამიანს არ გაუჭირდება. სიმართლის პირში თქმისას იგი გაიტრუნება და ხმას არ გამოიღებს, მაგრამ კვლავ აგრძელებს თავის მრუდე საქმიანობას. ასე რომ, ამ მხრივ იგი ზედგამოჭრილი კრილოვის ერთი იგავ-არაკის პერსონაჟია (კატა ვასკა). მე პირადად ცამეტი წლის განმავლობაში, რაც მასთან აშკარად დაპირისპირებული ვარ, იგი ბევრჯერ — პირისპირ და საჯაროდაც — მიმხელია არა მარტო აღნიშნული თვისებებისა, არამედ იმ უარყოფითი შედეგების გამოც, რაც მან ქართულ ისტორიოგრაფიას მოუტანა. მაგრამ ამაზე პასუხი არასდროს არ გაუცია. ეს კი უბრალოდ იმიტომ მოხდა, რომ პასუხი არა აქვს გასაცემი. მაგრამ მშვენივრად იცის თუ რა საზოგადოებაში ცხოვრობს — ისეთში, სადაც ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს. ადამიანები სიმართლისათვის თავს დიდად არ შეწუხებენ და სადაც, მეცნიერ-მუშაკთა წრეშიც კი, პლაგიატი დიდ სირცხვილად არ ითვლება.

ახლა შევეშვათ ზეპირგადმოცემებსა და გიორგი მელიქიშვილის ხასიათის რიგ ნიშან-თვისებას და გადავიდეთ საკითხზე — გაგვაჩნია თუ არა წერილობითი წყაროები ჩვენთვის საინტრესო საკითხის გასაშუქებლად. უფრო კონკრეტულად იმაზე, თუ ვინ იყო, რა პიროვნებას წარმოადგენდა პეტრე უშაკოვი, მართლა დასტოვა თუ არა მან ნაშრომები და დაიკარგა თუ არა ისინი.

გაგრძელება მე-8 გვ.

ივანე ჯავახიშვილი ეგრეთწოდებული კავკასიელი ეროვნებების შესახებ

ივანე ჯავახიშვილი. „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა.“ ტფილისი, 1937 წ. — ავტორი აიძულეს აფხაზეთის საკითხი მცდარად წარმოედგინა.



ნოღაელების და ყირგიზების ბანაკი ჩრდილო კავკასიაში XIX საუკუნეში

გვ. XIV წინასიტყვაობა

1923 წ. დაწყებული საქმე მხოლოდ 1937 წ. შემეძლო, ავად თუ კარგად, დამთავრებულად მიმეჩნია. ასეთი ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდგომაც, კარგად მესმის, რომ ამნაირი რთული და პასუხსაგები პრობლემების სრულებით ახალი თვალსაზრისით განხილვისა და დებულებათა წამოყენების დროს შეცდომებისაგან თავის დაზღვევა ძალიან ძნელია. მეცნიერებამ მრავალი მაგალითი იცის, როდესაც არამც თუ თვით ავტორის მიერ შეუმცდარად აღიარებული, არამედ ფართოდ განმტკიცებული მოძღვრებაც კი მცდარი გამომდგარა და წინათ ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული სრულებით უკუგდებული ყოფილა. მით უმეტეს შეცდომებისაგან თავის დაცვა ძნელია ე. წ. კავკასიურ ენათა კვლევა-ძიების სფეროში, სადაც ბაბილონის ენათა აღრევის მსგავად უაღრესად გართულებულ გარემოებად ტრასკრიპციათა, ტერმინოლოგიისა და თეორიების აღრევაც ერთვის. არაერთი აქ წამოყენებული ეტიმოლოგიის მაგიერ სხვა განმარტების წამოყენებაც შეიძლება... გვ. XVI ე. წ. კავკასიურ ენებზე მუშაობის დროს ყველა წყაროების შოვნა ტფილისში ვერ შევძელი, ამიტომ წყაროების მიმოხილვა სრული არ არის.

გვ. 13. ე. წ. კავკასიის უმწერლობო ენების შესწავლის პირველ ნაბიჯად უნდა აკად. გიულდენშტედტ-ის მიერ საქართველოსა და კავკასიაში 1771-72 წლებში მოგზაუროების დროს შეგროვებული ცნობები და პატარ-პატარა ლექსიკური მასალები იქმნეს მიჩნეული, რომელიც ამ მეცნერის მგზაურობის აღწერილობაში იყო მოქცეული: „დ. იოჰან ანტონ გიულდენშტედტ, რაიზენ დურჰ რუსლანდ უნდ იმ კავკასშენგებურგ“-ის პირველსა და მეორე ნაწილში. პირველი ადგილი ქართველურ დიალექტებს აქვთ დათმობილი, რომელშიც ქართული, მეგრული და სვანური სიტყვებია მოყვანილი. მეორე შენაკრები მიჯეგიური დიალექტებია („მიჯეგიშე მუნდარტენ: ჩეჩენგიშ, ინგუშიშ, თუშეთიშ“). მეშვიდე და მერვედ ყაბარდოული და აბხაზური, ანუ, **როგორც იქ ნათქვამია, აბაზური** ენების სიტყვათა კონაა. მას 527-535 გვ. უკავია და სულ 280 სიტყვას შეიცავს. ამ სიტყვათა კონებში არაერთი შეცდომაა შეპარული. მისი ცნობით, ქართველები აბხაზთ და მათ ქვეყანას აბხაზებსა და აფხაზეთს უწოდებდნენ, თვით მკვიდრნი მცხოვრებნიც თავიანთი თავისა და ქვეყნისათვის ამავე სახელებს ხმარობენო. ჩერქეზები კი თურმე „აბაზა“-ს ეძახდნენ. იმავე მეცნერის სიტყვით, მაშინდელი აბხაზეთის მიწა-წყალი კავკასიის უღელტეხილსა და მის კალთებზე იყო გადაჭიმული, დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროზე მისი საზღვარი კაპოეტის ანუ კაპეტის წყლის შესართავამდე და სვანეთამდე აღწევსო. მთელი აბხაზეთის მიწა-წყალი სამ ნაწილად იყოფა: 1. სამხრეთ-დასავლეთის აბხაზეთი, რომელიც მდ. **ყუბანსა და ენგურს** შუა იყო მოქცეული და ოთხ თემს შეიცავდა; 2. აბხაზეთის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი, რომელიც ტუბი-სა, უბუხ-ისა შაფსიხ-ისა ანუ შაფსო-ს, ახე-სა და კოკუეე-ს (ანუ ქვემო და ზემო შაფსო-ს) თემებს შეიცავდა, **ხუაჯისა, ზახისა და ყუბანის** მდინარეების ტერიტორიაზე, სადაც მოსაზღვრედ უკვე ჩერქეზთა სამფლობელოს ქვეყანა ბუანა და სატუკაი იყო; 3. აბხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც, ყაბარდოელი მთავრების XVII ს-ში მდ. თერგზე გადასახლების შედგომ, აბხაზთა მიერ იქმნა დაკავებულ-დასახლებული და **ყაბარდოსა და ბესლენს** შუა ყუბანის შემდინარეების ინჯიკ-ისა, უასპ-ისა ანუ არგა-სა და ზემო კუმაზე მდებარეობდა. აკად. გიულდენშტედტ-ის მიერ საქართველოსა და კავკასიაში ჩერქეზთა ყუბანისა, კუმას და თერგის მიწა-წყალი ეკავათ.

ჯავახიშვილი, გვ. 26 გერმანელი მეცნერი ჰაინრიხ იულიუს კლაპროთი იყო კავკასიაში 1807-8 წ. აბხაზური ენის შესახებ მას აღნიშნული აქვს მხოლოდ. პალლასის აზრით, აბხაზურს მხოლოდ ჩერქეზული სიტყვები აქვს შეთვისებული, ძირეულად კი აბხაზური ჩერქეზულისაგან განსხვავდებაო. კლაპროთიც პალლასის მსჯელობას იზიარებდა. ჩერქეზთა ენა ფინური მოდგმის ენებს უახლოვდება, მეტადრე ციმბირის ოსტიაკებისა და ვოგულების ენებსაო. ეს მსგავსება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ **ჩერქეზები** იმგვარადვე, როგორც **ვოგულები და ოსტიაკები, ერთსა და იმავე შტოს ეკუთვნან.** გვ. 30. ბუნებისმეტყველ გიულდენშტედტს, აბხაზური და ჩერქეზული ენების ბუნებაზე მსჯელობის დროს, ფილოლოგოს კლაპროთზე უფრო მეტი დაკვირვების ალღო აღმოაჩნდა: პირველის დებულება აბხაზურ-ჩერქეზულის ნათესაობაზე არსებითად სწორეა, მეორის მსჯელობა მცდარია. 1846 წელს დაიბეჭდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელის, შთამომავლობით ფრანგის, ლეონტი ლულიეს რუსულ-ჩერქეზული ლექსიკონი. მისი აზრით, ჩერქეზულს, აბხაზურსა და უბიხურს ერთმანეთთან ვითომც საერთო არაფერი ჰქონდეთ: სულ სხვადასხვა წარმოშობისა არიანო, საინტერესოა ლ. ლულიეს ეთნოგრაფიული წერილები: ობშჩი ვზგლიად ნა სტრანი ზანიმაემიე ჩერკესსამი (ადიგა), აბხაზცამი (აზეგა) ი დრუგიმი გორსკიმი ნაროდამი.

გვ. 91. **ამჟამად კი კავკასიური ენების ნათესაობის ამოცანა უაღრესად რთულსა და სახიფათო ამოცანას წარმოადგენს.** ენათა ნათესაობის საკითხი შესაძლებელია მხოლოდ აგებულებისა და ლექსიკური საგანძურის ძირთა ერთიდაიგივეობის მიხედვით იქმნეს გადაწყვეტილი. **არც ერთი ამ თვალსაზრისით კი ეს ენები აქამდე არავის შეუსწავლია. ამგვარად, საკითხი ქართული და ე. წ. კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ წინანდებურად ისევ ისევე გამოურკვეველია. ამისდა მიუხედავად, ამ „სამუშაო ჰიპოთეზითა“, თუ ლიტონი რწმენით ყველა სარგებლობს ისე, რომ ხშირად ურყევ დებულებადაც კი არის ხოლმე მიჩნეული.** მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ გრამ-სქეს-კატეგორიები ქართულს არ გააჩნია, ენათა ჩრდილო-დასავ. ჯგუფიდან ჩერქეზულსა და ყაბარდოულსაც არა აქვს, აბხაზურსაც მხოლოდ ნაწილობრივ მოეპოვება, რომ დაღისტნის ენებითგან თაბასარანულს, აღულურსა და კიურულ-ლეკურს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლურის ერთადერთ გადარჩენილს უდურსაც არ გააჩნია, რომ ქართულსა და კავკასიურ ენებში ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება, რომ ქართულსა და ჩრდილო-დასავლურ ენათა ჯგუფს, თუმცა სხვა ნაცვალსახელოვანი თავსართებიანი, მაგრამ მაინც ზმნის ორგანული წარმოება აქვს, ჩაჩნურ-დაღესტნის ენებს-კი არაფერი ამის მსგავსი არ მოეპოვებათ, რომ ყველა ამ ენათა ლექსიკის ძირების იგივეობის, გინდ ნათესობის გამორკვევა აქამდის არავის არც-კი უცდია (ტრუბეცკოიმ მხოლოდ ჩრდილო კავკასიის ენების ნათესაობის გამორკვევა სცადა), მაშინ ცხადი გახდება, რომ **ე. წ. კავკასიური ენების კვლევის თანამედროვე საფეხურზე ამ ენა-**



თა იგივეობის აზრი სამუშაო ჰიპოთეზის სახითაც არ შეიძლება წამოყენებულ იქმნეს. შესაძლებელია ამაზე მეტიც ითქვას: არც ერთ მეცნერს, რომელსაც კი მეცნერების წინაშე თავისი თავის პასუხისმგებლობა ესმის, უფლება არა აქვს სთქვას, რომ კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზისთვის ჯერ-ჯერობით ოდნავად მაინც დამაჯერებელი არამც თუ საფუძველი, არამედ დებულებაც-კი არსებობდეს. ამიტომ ეს აზრი უფრო რწმენს მიაგავს, ვიდრე სამეცნერო, თუნდაც სამუშაო, ჰიპოთეზას.“

ამ შეხედულებას არ ეთანხმება მისივე სხვა შეხედულება, გვ. 622: ქართულ-ქართველურისაცა და სინდური ენებისაც ისევე, როგორც ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენების თავდაპირველი აგებულება დროთა განმავლობაში ძალზე შეცვლილა. მაგრამ მეტყველების მთავარი ნაწილების გაღრმავებულმა შესწავლამ და კვლევა-ძიებამ მაინც ამ ენების თავდაპირველი აგებულებისაცა და სიტყვათა საგანძურის უძველესი ძირთა ნათესაობაც ცხადჰყო. საუკუნეთა განმავლობაში მომხდარი ცვლილება იმდენად არსებითი, დიდი და ფართო ყოფილა, რომ თავდაპირველი ნათესაობისდა მიუხედვად ამ პროცესს ეს მონათესავე ენები ერთმანეთისაგან ისე დაუშორებია, რომ ენათა დამოუკიდებელ გარეგნულად უცხო ჯგუფადაც კი უქცევია. აქამდე გაწეული შრომა, დაკვირვება და ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა სინდ-ღლიღვ-ლეგ-ალბანელების შორეული წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ. ჯერ საერთო და შემდეგ მონათესავე ენას გარდა, მათ გარკვეულ ხანამდე კულტურაც საერთო ჰქონიათ. ქართველ-სინდ-ღლიღვ-ლეგ-ალბანელთა თავდაპირველი ნათესაობა მარტო ლინგვისტიკური ანალიზით კი არ მტკიცდება, არამედ უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ცნობებითაც.

გვ. 624. კავკასიაში იყო თემი და სახელმწიფო, რომელსაც ქართველი ისტორიკოსი შარო-ს უწოდებს, ბერძენ-რომაელების ძველი გეოგრაფებიც აქვე სერრ-ების ტომებს ასახელებენ. სერრ-ის სახთ არაბთა გეოგრაფებს დაღისტანშიც ჰყავთ აღნიშნული, ხოლო ძველ სომხურ ისტორიულ თხზულებებში შარურ გეოგრაფიულ სახელად გვხვდება, რომელიც დღევანდლამდეც არის შერჩენილი. ამნაირად საურომატების, ანუ სარმატებისა და სიურმატების სახელი ადგილობრივი სახელი ყოფილა და შაროელთა ენის აღმნიშვნელია. ცალკეულს სინდურს, ღილღურს, ლეგურს, ალბანურ ენათმეცნერებას გარდა, ზოგადი შარომატული ენათმეცნერებაც და შედარებითი ქართულ-შარომატული ენათმეცნერებაც უნდა შეიქმნას. წინამდებარე წიგნის ავტორმა კარგად იცის, რომ არაერთი ცალკეული ეტიმოლოგიისა და მოვლენის განმარტება სხვანაირადაც შეიძლება, თვით მასაც, ამ ნაშრომში შეტანილის გარდა, აზრად სხვაც მოსვლია. მომავალში, რასაკვირველია, შესაძლებელია ბევრი რამეც კი შეიცვალოს, მაგრამ მას მაინც ჰგონია, რომ მხოლოდ ამ მიმართულებით, ამ მეთოდებითა და ამნაირი მასალის გამოყენებით მოხერხდება იმ გზის გაკაფვა, რომელიც აწინდელი გარშემოზღუდვილობისაგან ფართო ასპარეზზე გაგვიყვანს და ყოველმხრივ საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას შეგვაძლებინებს.“ — ამ სიტყვებით მთავრდება აკად. ივანე ჯავახიშვილის ორტომეული „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა.“ თბილისი, 1937 წ. წიგნი მეორე. პირველი წიგნი გამოქვეყნდა მხოლოდ ავტორის გარდაცვალების შემდეგ. მას ავტორი ზედამხედველობას ვეღარ უწევდა. ბედუკულმართ 1937 წელს გამოქვეყნებულ წიგნში ივანე ჯავახიშვილი იმედოვნებს, რომ „მომავალში შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს“ და გადაჭრით წერს, რომ „ამჟამად კი კავკასიური ენების ნათესაობის ამოცანა უაღრესად სახიფათო ამოცანას წარმოადგენს. საკითხი ქართული და ე. წ. კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ წინანდებურად ისევ ისევე გამოურკვეველია. ამისდა მიუხედავად, ამ „სამუშაო ჰიპოთეზებითა“, თუ ლიტონი რწმენით ყველა სარგებლობს ისე, რომ ხშირად ურყევ დებულებადაც კი არის ხოლმე მიჩნეული. არც ერთ მეცნერს უფლება არა აქვს სთქვას, რომ კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზისათვის ჯერ-ჯერობით ოდნავად მაინც დამაჯერებელი არამც თუ საფუძველი, არამედ დებულებაც კი არსებობდეს. ამიტომ ეს აზრი უფრო რწმენას მიაგავს, ვიდრე სამეცნერო, თუნდაც სამუშაო, ჰიპოთეზას.“

აკად. ივანე ჯავახიშვილმა გააფრთხილა საზოგადოება, რომ კავკასიოლოგიამ სახიფათო მიმართულება — გეზი აიღო. საუბედუროდ, გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც სწორედ სახიფათო და მცდარი გზით კავკასიოლოგიის მიმართულების შეცვლა დაევალათ. მათი ქმედების შედეგია დღევანდელი კავკასიის ომის იდეოლოგიური სარჩულის შემზადება. საგულისხმოა, რომ აკად. ივანე ჯავახიშვილი ერთ-ერთ სხდომაზე საჯაროდ მოხსენებით გამოსვლისას გარდაიცვალა, რაც კინოფირზე აღბეჭდა დოკუმენტურმა კინომ. აუტანელია მდგომარეობა, როდესაც იძულებულია ადამიანი საკუთარი მრწამსის საწინააღმდეგო შეხედულებები იქადაგოს. მრავლისმეტყველია ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილი აბსუურ, ადიღურ, დაღესტნის ენებს „ეგრეთწოდებულ კავკასიურს“ უწოდებდა, რითაც ცხადდებოდა, რომ მას კავკასიაში ამ ხალხების აბორიგენობა საეჭვოდ მიაჩნდა.

ივანე ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ გვ. 76. აკად. ნ. მარრის მოღვაწეობის ზოგადი შეფასების დროს, უნდა გულახდილად აღინიშნოს, რომ ქართულის, ქართველურის და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და მონათესაობისა, იმგვარადვე, როგორც მათი წარმოშობილობისა და სადაურობის პრობლემა ისევე გადაუწყვეტელია, როგორც წინათ იყო. ენათა ნათესაობის საკითხი უპირველესად ენათა აგებულების იგივეობის, ანდა მსგავსების მიხედვით სწყდება, სიტყვათა საგანძურს კი უფრო მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ნ. მარრი კი თავისი მსჯელობის დროს ამ გარემოებას ანგარიშს არ უწევდა. სამეცნერო მეთოდოლოგიის უგულებელყოფით დასახული მიზნის მიღწევა არ შეუძლიან ისეთი არაჩვეულებრივი ნიჭისა და დაუშრეტელი ენერგიის პატრონს და მრავალი ენის მცოდნესაც კი, როგორიც უცილობლად აკად. ნ. მარრია... იმ ნაშრომებშიც კი, რომელთა ზოგად შინაარსსა და დასკვნას ადამიანი ვერასგზით ვერ დაეთანხმება, არაერთი გონებამახვილი შედარებაა გაფანტული და არაერთი საინტერესო პარალელია წამოყენებული, რომელთა სისწორის დამტკიცება სულ სხვა გზითა და სხვა საბუთიანობით შეიძლება... ნ. მარრი წერდა: იმედია, რომ მომავალში იაფეტური ენათმეცნიერების მზე — სიმართლე სავსებით ამობრწყინდება მსოფლიოს მეცნერების კამარაზე, მაგრამ დღეის-დღეს ამ ნორჩი დარგის გამომმუშავებელი ობოლი ბუდეც დანგრეულია და გავერანებაზე მიწევნილი იგი ბუდე, სადაც ასი წლის განმავლობაში, როგორც შეუწყვეტელი კვლევა-ძიების შედეგი, აღორძინდა და ვითარდებოდა დედამიწის ზურგზე ერთად ერთი კავკასიური ენათა სამკვლევრო შკოლა თავის დამოუკიდებელი მიმართულებითაო.“ ტფილისის უნივერსიტეტს, რომლის ბრწყინვალე მომავალიც აკად.

ყალმუხები ჩრდილოეთ კავკასიაში

ნ. მარრს სწამდა, „მეცნერების მსოფლიობის“ სრული შეგნებისდა მიუხედავად, არავითარი არც პრეტენზიები და არც წადილი არა ჰქონია, „ერთობილად მთელი კავკასიის უნივერსიტეტად“ იქცეს, მაგრამ მაინც უკვე 1918 წ. დაარსე-

გაგრძელება მე-8 გვ.

ლენინური პრემიის ლაურეატი — პლაგიატორი?

ისტორიკოს პეტრე უშაკოვის საიდუმლოება

მე-6 გვერდიდან

სამწუხაროდ, ჩვენი, ქართველობის ბედოვლათობის გამო საქართველოში არ გამოჩენილა კაცი, რომელიც ბოლომდე მიჰყვებოდა აღნიშნული საკითხის გარკვევას. ამის აღსრულება კი შეუძლებელი როდია და მით უფრო ადვილი იყო გასულ ათწლეულებში მოწმეთა, „თანადამხდურთა“ ცოცხლად ყოფნის გამო.

დავიწყოთ პეტრე უშაკოვის პირადი საქმით, რომელიც მისი როგორც კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის, ენიმკისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლისა, ცხადია, უთუოდ იარსებებდა. სამწუხაროდ, მე ამ დოკუმენტით დაგვიანებით, 1990 წლის დასაწყისში დავინტერესდი. მაგრამ იმხანად ვერ შევძელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივში მისი მიკვლევა, თუმცა არქივის თანმშრომლები ძალიან ცდილობდნენ დამხმარებოდნენ. ამის შემდეგ ძიება განაგრძო აწ განსვენებულმა არჩილ ბარამიძემ, რომელიც ასევე დაინტერესდა პეტრე უშაკოვის ბედ-იღბლით. მაგრამ მისი ძიება კვლავ უშედეგოდ დასრულდა. 1992 წლის შემოდგომაზე მე კვლავ გავაგრძელე მცდელობა. თანამშრომლებთან ერთად ვათვალიერებდი ყველა თაროს და საბედნიეროდ, არქივის ერთ-ერთი თანამშრომელი სულ სხვა, მოულოდნელ ადგილას წააწყდა პეტრე უშაკოვის პირად საქმეს, რომლის ყდაზეც აღნიშნულია რომ იგი შედგებოდა 66 გვერდისაგან.

რასაკვირველია, ყოველივე ამან ეჭვები კიდევ უფრო გამიცხოველა: ნუთუ შემთხვევითობა გახლდათ ის, რომ აღნიშნული პირადი საქმე თავის ადგილზე არ იყო. მეტსაც გეტყვით, პეტრე უშაკოვის საქმეში ბოლოსწინა დოკუმენტი დათარიღებულია 1941 წლის 16 აგვისტოთი და ამის შემდგომ დოკუმენტები, რომლებსაც უნდა აესახათ ინსტიტუტში მისი საქმიანობის მომდევნო ორი წელი, აღარ არსებობს. ბოლო დოკუმენტი ხელმოწერილია 1943 წლის 15 სექტემბრით, რომელშიც პეტრე უშაკოვი სთხოვს ენიმკის დირექტორს აკად. სიმონ ჯანაშიას მისცენ კუთვნილი შვებულება 19 დღის დამატებით, რაც წინა წელს არ გამოუყენებია. ამის შემდეგ კი აღარავითარი დოკუმენტი აღარ არსებობს, რაც გვაფიქრებინებს, რომ პეტრე უშაკოვი მალე გარდაიცვალა. აქვე გეტყვით, რომ იგი ტუბერკულოზით იყო დაავადებული და ამ წლებში, თანაც მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამოისობით, ძალზე დასუსტებული იყო (ეს ინფორმაცია მომაწოდა ორიოდე წლის წინათ გარდაცვლილმა პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ, რომელიც პეტრე უშაკოვს პირადად იცნობდა).

პეტრე უშაკოვის პირადი საქმე ისტორიის ინსტიტუტის საქმეთა მწარმოებელს ქალბატონ თამარ მაისურაძეს შეუდგენია 1946 წლის აპრილში, ხოლო აკადემიის არქივისათვის გადაუგზავნია... 23 წლის შემდეგ. ვინც ქალბატონ თამარს იცნობდა, ადვილად დაგვეთანხმება, რომ იგი აკურატულობით გამოირჩეოდა და ამდენად მსგავსი ბედოვლათობა მისგან ძალზე მოულოდნელია. მთავარი მაინც ისაა, რომ პირად საქმეს აკლია თერთმეტი გვერდი, რომელიც, როგორც მოგახსენებდით, პეტრე უშაკოვის ინსტიტუტში საქმიანობის ბოლო ორი წლის ხანს ასახავს. აშკარაა, რომ ვიღაცამ ამოხია ეს თერთმეტი ფურცელი და ამას ადგილი ჰქონდა მას შემდეგ, რაც ქალბატონმა თამარ მაისურაძემ პეტრე უშაკოვის პირადი საქმე უკვე დანომრა. აღნიშნული კრიმინალი რომ ისტორიის ინსტიტუტში მოხდა და არა აკადემიის არქივში, ეს ნათელია: არქივის იმჟამინდელი გამგე ქალბატონი თინა კასრაძე ადასტურებს, რომ დოკუმენტი მიღებულია თერთმეტი გვერდის გარეშე.

როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ჩვენ გვაქვს დოკუმენტი (ფონდი №IX, აღწერა 2, შესანახი ფურცელი 49-ე), რომელიც ბევრ რამეს გვაუწყებს პეტრე უშაკოვის შესახებ. ამ ჯერ საკითხზე ვიმსჯელებთ სწორედ ამ დოკუმენტის მიხედვით.

პეტრე ნიკოლოზის ძე უშაკოვი დაბადებულია 1883 წელს ფსკოვში. მამამისი პროფესიით მიწათმომწყობი ყოფილა და თავი იმდენად გამოუჩენია, რომ მიუღია „ნამსახურები თავადაზნაურის“ (ვისლუუივშიისა დვორიანინ) ტიტული. პეტრე უშაკოვს აღნიშნული ქალაქის გიმნაზია დაუმთავრებია ოქროს მედლით 1902 წელს და ამ წელსვე შესულა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე რომაული სამართლის ისტორიის სპეციალობით. უნივერსიტეტი დაუმთავრებია 1906 წელს. პარალელურად სწავლობდა უენევის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. განსაკუთრებით გამოუჩენია თავი ენების შესწავლაში — თავისუფლად ლაპარაკობდა ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, იტალიურად და ესპანურად, საერთოდ კი იცოდა ოცამდე ენა, მათ შორის ქართული. მიუხედავად ასეთი ნიჭისა, პეტრე უშაკოვს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აღარ გაუგრძელებია სამეცნიერო სარბიელზე მოღვაწეობა და მუშაობდა პეტერბურგში იურისტად სხვადასხვა ადგილას. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, იგი სამხედრო სამსახურში გაუწვევიათ. მოხვდა თურქეთის ფრონტზე, სადაც მუშაობდა სამხედრო შტაბის მოხელედ. უკვე ფილტვებით დაავადებული, სამხედრო სამსახურიდან გაუნთავისუფლებიათ 1917 წლის ივნისში. როგორც ჩანს, უფრო იმიტომ, რომ ამ სნეულებით დაავადებულისათვის ძნელი იქნებოდა პეტერბურგის (პეტროგრადის) კლიმატის პირობებში ცხოვრება, პეტრე უშაკოვს გადაუწყვეტია სამხრეთში დარჩენა. ჯერ ცხოვრობდა ბათუმსა და სოხუმში, სადაც კერძო გაკვეთილებითა და თარგმანებით ირჩენდა თავს, ხოლო 1920 წელს კი გადავიდა ბაქოში. ფაქტია, რომ იგი ჩამდგარა ბოლშევიკ-კომუნისტთა სამსახურში, თუმცა მისი სოციალური წარმოშობისა და ინტელექტის გამო ეს არჩევანი ნაკლებად მოსალოდნელი იყო. მაინც უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური პარტიის წევრი იგი არ გამხდარა, თუმცა თუ მოინდომებდა, უფრო სწორად, თუ ისინდისებდა, ეს ძნელი როდი იქნებოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პეტრე უშაკოვი გადმოვიდა თბილისში, სადაც იგი მიხეილ კახიანმა მოიწვია. ცხადია, ქართველ ბოლშევიკ-კომუნისტებს ხელს აძლევდათ ასეთი განათლებული პიროვნების თავიანთ სამსახურში ჩაყენება. თავდაპირველად იგი თანამშრომლობდა გაზეთ „აზერბაიჯანის ღარიბ-ღატაკობაში“, სადაც, სხვათა შორის, დაბეჭდა სტატიები აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის შესახებ (რომლის მონაწილეც იგი გახლდათ) და ინტერვიუ ცნობილ ენვერ-ფაშასთან. მანვე ორგანიზება უყო და ხელმძღვანელობდა აღმოსავლური ენების კურსებს მეთერთმეტე წითელ არმიასთან, სადაც კითხულობდა აგრეთვე აღმოსავლეთის ისტორიას. შემდეგ მუშაობდა „გრუზროსტში“, რომლის აღმოსავლეთის განყოფილების კოლეგიის წევრი იყო და ხელმძღვანელობდა აღმოსავლურ ენათა კურსებს. მუშაობდა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატში. 1923 წელს დაიწყო მუშაობა IX ტექნიკუმში ისტორიის მასწავლებლად, შემდეგ მოღვაწეობდა თბილისისა და სოხუმის სკოლებში. 1931 წელს პეტრე უშაკოვმა მუშაობა დაიწყო კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში, კერძოდ, ისტორიის სექტორის მეცნიერ მუშაკად (მუშაობდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში). 1934 წელს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს მსოფლიო (კონკრეტულად წინა აზიის) ისტორიაში. თარგმნიდა სხვადასხვა ენიდან.

1934 წელს პეტრე უშაკოვს, როგორც მეცნიერ-მუშაკს, მიაკუთვნეს პირველი თანრიგი. ამავე წლის 15 მარტით დათარიღებულ დოკუმენტში ცნობილი ისტორიკოსი, აღნიშნული ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გრიგოლ ნათაძე აღნიშნავდა პეტრე უშაკოვის დიდ ერუდიციას ისტორიაში, განსაკუთრებრთ ძველი პერიოდისაში, მრავალი ენის ცოდნას, მის მოხსენებათა მაღალ ღირსებებს. ამავე წელს პეტრე უშაკოვმა შეასრულა ნაშრომი „Юг Закавказья в эпоху халдов и прилегающие страны“ სათანადო რუკითურთ. ამ ნაშრომის თამბაზე ცნობილი ისტორიკოსი ლეონ მელქსეთ-ბეგი 1935 წლის 13 ნოემბერს წერდა: „Тов. Ушаков один из немногих кунеологов, работающих у нас в ЗСФСР и при том чуть ли не единственный в Тифлисе, который, насколько позволяют условия культурной связи с заграницей, в курсе всех новейших достижений в области хетто и халдоведения“; “... можно смело сказать, что после известной работы покойного профессора А. С. Хаханова “Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии” (1901) и соответствующего экскурса проф. И. А. Джавахишвили на грузинском языке (по изданию 1913г.) вопрос о колхах, таохах, везирах, генцохах и исседонах впервые разработан с надлежащей полнотой, при том в свете последних достижений хетто и халдоведения.” სამწუხაროდ, 1934 წლის დასაწყისში დასრულებული ეს ნაშრომი ავტორმა დიდხანს ვერ დაბეჭდა, ხოლო „Халдские и субарейские языки“-ს დაბეჭდვა საერთოდ ვერ მოახერხა.

გაგრძელება მე-11 გვ.

ივანე ჯავახიშვილი ეგრეთწოდებული კავკასიელი ეროვნებების შესახებ

მე-7 გვერდიდან

ბის პირველი დღიდანვე, თავის მიზნად და მოვალეობად ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული.“

ყირგიზეები ჩრდილო კავკასიაში XIX საუკუნეში

1801 წლიდან აფხაზეთის ისტორიას ამახინჯებენ, განსაკუთრებით — საბჭოთა პერიოდში. 1957 წლის სსრკ სახელმწიფო პრემია მიანიჭეს გიორგი ალექსანდრეს ძე ქსენოფონტიდის წიგნს „დრევნევასტოჩნიე მატერიალი პო ისტორიი ნაროდოვ ზაკავკაზია, ნაირი-ურარტუ“, 1954 წ. მასში აბსუთა და ჩერქეზთა სამშობლოდ გამოცხადებულია ვრცელი ტერიტორია, რომელიც დღეს თურქეთს, სომხეთს, საქართველოს და რუსეთის ფედერაციას ეკუთვნის. ავტორის ამგვარი ვარაუდი მცდარად მიიჩნია პროფ. ლიპინმა რვაგვერდიან რეცენზიაში. პროფ. ბ. პიოტროვსკიმ, პროფ. ი. მ. დიაკონოვმა... ის სწორად ვერ შეაფასა ისტორიკოსმა თეიმურაზ მიქელაძემ (ჟურნალი „დროშა“, 1952 წ). ამ წიგნს ეყრდნობა არძინბას ჯგუფი თავის მოთხოვნებში.

ქსენოფონტოვის ამ წიგნში შევამჩნიე რამდენიმე სიყალბე: 1. მცდარია ასირიულ ხელნაწერებში ძვ. წ. XI საუკუნეში დასახელებული აბეშლა-ს და ხაბხი-ს გაიგივება აბსუებთან და ჩერქეზებთან, მცდარია ჩერქეზების ამ პერიოდში მკვიდრ ხალხად მიჩნევა კოლხეთის ზღვის (ანუ შავი ზღვის) სანაპიროზე. 2. აბსოა ეთნოსი არ არის აბსილი, რადგან I ს-ში აბსოები ცხოვრობდნენ კასპიის ზღვასთან, ქ. ასტრახანთან, ხოლო აბსილები — ქ. აბაშასთან კოლხეთში. პროფ. თეიმურაზ ბოცვაძისა და სხვათა შეხედულებით აბსოები ვოლგის შესართავთან ჩამოვიდნენ პირველ საუკუნემდე ზედა ვოლგა-სპირეთიდან. 4. ლაზების ჩერქეზებად გამოსაცხადებლად გ. ქსენოფონტიდმა II ს-ში არრიანეს მიერ მოხსენებული ქალაქ „ძველი ლაზიკა“ ჩრდილო კავკასიის ქალაქად ჩათვალა, თუმცა ცნობილია, რომ ის ბიჭვინთასთან მდებარეობდა. 5. VI ს-ის ბერძენი აგათიას ცნობა დაამახინჯა. აგათია წერდა, რომ კოლხეთში აპსილები კოლხებისგან ენით არ განსხვავდებიან, კოლხების ენაზე მეტყველებენ. გ. ქსენოფონტოვმა მკითხველთან იცრუა, თითქოს აგათიას ცნობით აპსილები და კოლხები სხვადასხვა ენაზე მეტყველებდნენ და აპსილები უსაფუძვლოდ გააიგივა აბსუა ტომთან, რომელიც მაშინ მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდა.

აკად. გიორგი მელიქიშვილის შეხედულება გაცხადებულია მის წიგნში — „ნაირი-ურარტუ“, რუსულ ენაზე, ისევე, როგორც ნ. მარი, არც იგია ქართველი და ამდენად, ეროვნული ტკივილების გაზიარებას მას ვერ მოსთხოვენ. მისი გვარი ქსენოფონტოვი, ბერძნულია. ოცდაათიან წლებში მას ლენინგრადში მიაკუთვნეს სამეცნიერო ხარისხი. მისი წიგნის, „ნაირი-ურარტუს“ ბოლოს დაბეჭდილია ავტორისეული რუკა, სადაც თანამედროვე ფურქეთის ტერიტორიაზე აღნიშნა „აბხი“ ხალხის საცხოვრისი, მასში არაქართველებს, აბსუებს გულისხმობს. რუკის აღწერას მთლიანად ეწინააღმდეგება ავტორის ტექსტი, სადაც რამდენიმე თავში აღწერილია ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ჰ. როლინსონის ნაშრომი „ქუნეიფორმ ინსქრიფშნზ ოვ პერშა“, სადაც თითქოს ერთი წინადადების ცხრა ვარიანტიდან ერთ-ერთი იძლევა განსხვავებას — ერთი იეროგლიფი იკითხება, როგორც „აბხი“, დანარჩენი რვა ხელნაწერში ყოფილა „კილხი“. რამდენიმე გვერდის შემდეგ გ. მელიქიშვილი ასკვნის, რომ აღნიშნული იეროგლიფის წაკითხვა ორგვარად შეიძლება: „კილხი“ და „აბხი“, უპირატესობას ანიჭებს „კილხი“-ს. მიაჩნია, რომ ყველა ხელნაწერში „კილხი“ უნდა წავიკითხოთ. წამოიჭრება შეკითხვა: თუ „კილხი“ ეწერა სირიულ ტექსტში, რა უფლებით გამოიტანა საბჭოთა მეცნიერმა თავის რუკაზე „აბხი“ და თავგზა აუბნია აფხაზეთის საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებს და მოსახლეობას. „კილხი“ მას „კოლხი“-ს, ანუ ქართველის სინონიმად მიაჩნია. პროფ. ლორდ ჰენრი როლინსონის ნაშრომი ავტორმა გაურკვევლად მიუთითა. მკითხველი იგულისხმებს წიგნს, მაგრამ მისი ძმის, ჯორჯ როლინსონის წიგნების გაცნობის შემდეგ შევიტყვე, რომ ჰენრი როლინსონის ნაშრომი „ქუნეიფორმ ინსქრიფშნზ“ დაბეჭდილი ყოფილა ჟურნალში, რომელსაც საბჭოთა მეცნიერი არ უთიითებს და მკითხველი მას ვერ მიაგნებს. თბილისში ამ ჟურნალის სწორედ ის წლები არ არის, სადაც ეს ნაშრომი დაიბეჭდა და ჩვენ ვერ შევძელით ჰენრი როლინსონის ტექსტის გაცნობა... საბჭოთა ავტორის წიგნი ერთობ გაჭიანურებულია, გადატვირთულია პარაზიტული სიტყვებით: ოჩევიდნო, ვეროიატნო, რაც ავტორის არამყარ პოზიციაზე მიუთიითებს.

კარგ კავკასიოლოგად თვლიან სირილ თუმანოვს (თუმანიას). ამ არმენელმა კაცმა ახალგაზრდობის წლები თბილისში გაატარა. პროფესორმა თუმანოვმა ნიუ-იორკში დაბეჭდა წიგნი — „სთადის ინ ქრისჩენ ქოქეიუენ ჰისტორი“, სადაც მოიტანა ანტიკური მწერლების ცნობებიც აფხაზეთზე. საოცარია, რომ არც ის ასახელებს პლინიუსის ცნობას აბსუა ხალხის შესახებ — ან არ იცის, ან მალავს ისე, როგორც დამალეს პროფ. ელნიცკიმ 1949 წელს და პროფ. მერი ინაძემ 1962 წელს.

ყაბარდოელი ქალი

მისი შეხედულებით „აფხაზი არის ქართველი, რომელიც ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში“. ასეთივე შეხედულება მიაჩნია სწორად პროფ. მარიამ ლორთქიფანიძეს, რაც მრავალგზის დაბეჭდა.

დღეს აუცილებელია დამკვიდრდეს სწორი შეხედულება — აფხაზებში წინა საუკუნეებში იგულისხმებოდნენ მხოლოდ ქართველები. ამ ცნების შინაარსის დამახინჯება მოხდა რუსეთის ხელისუფლების ჩარევით, განსაკუთრებით, უეროვნო სამხედრო პირის, უსლარის წიგნის „აბხაზსკი იაზიკ“ გამოქვეყნების შემდეგ გასულ საუკუნეში, რომელზეც საქართველოს სათანადო წრეებმა დროზე არ მოახდინეს რეაქცია და არ აიძულეს ავტორი ელიარებინა, რომ ამ წიგნის სათაური უნდა ყოფილიყო „აბსუური“ ენა, რომ „აბსუა“ და „აფხაზი“ პირველი საუკუნიდანვე სხვადასხვა ხალხს აღნიშნავს. ქართველი საზოგადოების დოყლაპობის შედეგებს დღემდე იმკის საქართველოს უდანაშაულო მოსახლეობა, განსაკუთრებით, ქართველები და აბსუად ჩაწერილი ჩრდილოკავკასელი ადიღეები. პროფ. შანტრის ოთხტომეულში გარკვეულია, რომ სახელწოდება „ადიღე“ მსოფლიოსთვის პირველად ცნობილი გახდა ორნახევარი საუკუნის წინ.

ნათელა ფოფხაძე
ფილოლოგი

გულაბერ კლარჯი

საქართველოს მეფეს, ალექსანდრე დიდს, უნდა ეწოდოს ლორელი

XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დასაწყისში, მონღოლთა ბატონობის გადაშენებისა თუ ხოლერის ჩაქრობის შემდეგ, თითქოს წელში გამართულ საქართველოს კვლავ დიდი უბედურება დაატყდა თავს. როგორც ცნობილია, კაციჭამია, სისხლისმსმელი თემურ ლენგის ურდოები რვაჯერ შემოესივნენ საქართველოს. მართალია, თემურმა ვერ აიხდინა საწადელი, მას ხომ საქართველოს მიწასთან გასწორება, ჩვენი ქვეყნის მაჰმადიანურ გურჯისტანად გადაქცევა უნდოდა, — მაგრამ საქართველოს ძირფესვიანად დანგრევა კი მოახერხა. მტერი არც ნანგრევებად ქცეულ საქართველოს ეხსნებოდა. თემურ ლენგის სიკვდილის შემდეგაც საქართველოს არაერთხელ შემოესივნენ დამპყრობელთა ურდოები. თემურ ლენგის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლის გიორგი VII-ის მეფობის ბოლო წლებში საქართველოს უთანასწორო ბრძოლების, ომების გადახდა მოუხდა ამიერკავკასიაში შემოჭრილ შავბატკნიან თურქმენებთან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში თემურიანთა ადგილის დაკავებას ცდილობდნენ. გიორგი მეფე სწორედ შავბატკნიან თურქმენებთან (მკითხველს შევახსენებ, რომ არსებობდნენ თეთრბატკნიანი თურქმენებიც, ისინიც საქართველოს დაპყრობას ცდილობდნენ; დამპყრობელთა მარტო სახელწოდებები რად ღირს) ომში დაილუპა 1407 წელს. საქართველოს მომდევნო მეფე კონსტანტინე შავბატკნიანებთან ომის დროს მტერმა ტყვედ ჩაიგდო ხელში. სულთანმა ყარა-იუსუფმა („შავმა იუსუფმა", „ყარა" შავს ნიშნავს, ძალიან ყვარებიათ შავი ფერი სიკვდილის მთესველებს) ბრძანა ქართველი ტყვეების, სახელდობრ, კონსტანტინე მეფის, დახოცვა. ქართველთა მეფის ყარა იუსუფის ვაუმა, ფირბუდაყმა მოკვეთა თავი საკუთარი ხელით.

დაახლოებით 1412 წელს საქართველოს მეფე გახდა ალექსანდრე I, დიდად წოდებული, რომელიც გაუბედურებული ქვეყნის საჭესთან 1442 წლამდე იდგა. მას მეტისმეტად მძიმე მემკვიდრეობა ერგო. დანგრეული იყო უამრავი ტაძარი, ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები, ხიდები, თვით სოფლები და ქალაქები. დანგრეული იყო ქართველთა უხრველესი წმინდა ადგილი სვეტიცხოველიც. ქვეყანა გააღატაკა ამდენმა ომმა, ნგრევამ. ალექსანდრე I გვაუწყებს: „მას უამსა შემოსავალი ჩუენისა სახლისა არსით არ იყო." მაშასადამე, ალექსანდრეს მეფობის დასაწყისში საქართველოს სამეფო კარს, საქართველოს ხელისუფლებას შემოსავლის წყაროები დაშრეტილი ჰქონია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი უკიდურეს სიღატაკეში იმყოფებოდა, მაგრამ იმდროინდელი ქართველებისათვის დამახასიათებელი იყო „მდუღარეაი სულისა" (X საუკუნეში დასტურდება ეს გამოთქმა) და ალექსანდრე I-ის მეფობის დროსაც საქართველო კიდევ ერთხელ აღსდგა მკვდრეთით. ამ ეპოქაში ქართველმა ერმა აღადგინა ნასოფლარები, დანგრეული ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, კვლავ ამაყად აღმართა სვეტიცხოველი. ეს დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ალექსანდრე I იძულებული გახდა ქართველი ხალხისთვის, როგორც კი მან ოდნავ დაიწყო სულის მოთქმა, საგანგებო გადასახადი შეეწერა დანგრეული ტაძრებისა და ციხე-სიმაგრეების აღსადგენად, ნიშანდობლივია, რომ კათოლიკოს ელიოზის (1390-1419) საბუთში იხსენიება შიმშილობის მიზეზით გაყიდული მამულები. ელიოზი გვამცნობს: „გოროვანს ქათათაური მამული ნასყიდი შიმშილობისაგან ჩემის ძმისაგან. ეგრევე ნასყიდი ვენახი ახატანს შიმშილობისაგან"...



1447 წლის საბუთშიც მცხეთის კუთვნილი 45-მდე სოფელს შორის ხუთი კვლავ ნასოფლარად არის აღრიცხული. ასეთ ვითარებაში საქართველოს მკვდრეთით აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა, თუ არ მოხდებოდა ქართული სულის აღზევება. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს წარმოადგენს ალექსანდრე I-ისა და მის თანამოსაგრეთა ღვაწლს. ასე უნდა ხდებოდეს დღევანდელ საქართველოშიც. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელ ხელისუფლებას ქართული სულის აღორძინება-აღზევებაზე ლაპარაკი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

ალესანდრე I-ს უამრავი სხვა სირთულეც ეღობებოდა წინ. 1416 წელს შავბატკნიანი თურქმენები ახალციხეს შეესივნენ, აიღეს ის და საშინელი ხოცვა-ულეტა მოაწყვეს ქალაქში. ამასთანავე, ამდენი უბედურების, ნგრევის შემდეგ თანდათან ღრმავდებოდა სეპარატისტული ძალების მისწრაფება საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლისაკენ. ალექსანდრე I-ის გარდაცვალების შემდეგ მალე საქართველო დაიშალა კიდეც მის ნანგრევებზე რამდენიმე წვრილი სამეფო-სამთავრო აღმოცენდა. სეპარატისტულ ძალებს, ჩვეულებრივ, უცხოელი დამპყრობლები აქეზებდნენ. ეხმარებოდნენ, რათა ამ გზით დაეუძლურებინათ ჩვენი ქვეყანა და შემდეგ ადვილად ჩაეყლაპათ იგი („გათიშე და იბატონეს" პოლიტიკა).

ალექსანდრე I თავისი ჯარით 1414 წელს დასავლეთ საქართველოში გადასულა და იქ თვითნებურად მოქმედი მთავრები, ერისთავები, აუსაგმავს. იმავე თუ მომდევნო წელს სამცხე-საათაბაგოს მთავარმა, ივანე ჯაყელმა მეფის წინააღმდეგ ჯარი შეაგროვა და შეებრძოლა კიდეც მას, მაგრამ მეფემ განდგომილი ჯაყელი კოხტასთავს დაამარცხა და ხელშიც ჩაიგდო. იმავე ხანებში თავი იჩინა სამცხე-საათაბაგოს ეკლესიის სეპარატიზმმაც აწყურის, მაწყვერელი ეპისკოპოსის მეთაურობით, რომლის ზურგს უკან, ცხადია, ჯაყელი მთავრები იდგნენ. მაწყვერელი ეპისკოპოსები წირვა-ლოცვებში სრულიად საქართველოს მეფესა და კათოლიკოსს აღარ იხსენიებდნენ. მათ მაგიერ ანტიოქიის პატრიარქს მოიხსენიებდნენ და „მისგან გამოგზავნილ კაცს" ცნობდნენ. მაწყვერლებმა მისაკუთრეს აგრეთვე მცხეთის საკათოლიკოსოს განსაგებელი ვარძიის მონასტერი და საფარის ეპარქია. როგორც ჩანს, უცდიათ მცხეთის საკათოლიკოსოს სრული გამოძევება სამცხე-საათაბაგოდან, მაგრამ მას შემდეგ, რაც ალექსანდრე I-მა ივანე ჯაყელი დაიმორჩილა, აწყურის ეპისკოპოსთა ასეთი მოქმედებაც ალაგმულ იქნა. შემორჩენილია მაწყვერელი გერასიმეს ერთგულების ფიცი კათოლიკოს მიქაელისადმი (1420-1426): „მეფეთა მლოცავნი ვიყვნეთ და თქვენნი მომხსენებელნი ვიყვნეთ, არცა პატრიარქი მოვიხსენოთ ანტიოქიისა და არც მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყნაროთ"... საეკლესიო მთლიანობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობისათვის. ასე, რომ მაწყვერელთა სეპარატისტული მისწრაფებანი მეტად საშიშ მოვლენას წარმოადგენდა, საქართველოს ერთობას დიდ საფრთხეს უქმნიდა.

ასეთ რთულ ვითარებაში საკვირველია, როგორ შეძლეს ალექსანდრე I-მა და მისმა თანამოსაგრეებმა ეზრუნათ თემურ ლენგის შემოსევების დროიდან მტრის მიერ მიტაცებული ლორე-ტაშირის, ლორეს ციხე-სიმაგრის გასანთავისუფლებლად. მაგრამ ლორე-ტაშირი უძველესი, ძირძველი ქართული მიწა-წყალია, იგი საქართველოს სამხრეთის კედელს წარმოადგენდა და ჩვენი ქვეყნის მტრის თარეშებისგან დაცვა ძალიან გაჭირდებოდა, თუ ლორე-ტაშირში მტერი ფეხს მოიკიდებდა. ამის საფრთხე კი ძალზე დიდი იყო იმ ხანებში. ლორე-ტაშირში ქართული სამამულო მიწისმფლობელობაც თურქმენთა მფლობელობის წესებით იყო შეცვლილი. ამგვარი საფრთხე საუკუნეთა განძილზე არაერთხელ დამუქრებია ლორე-ტაშირს. ჩვენმა წინაპრებმა, მრავალტანჯული საქართველოს შვილებმა ზღვა სისხლი დაღვარეს ლორე-ტაშირს, ისევე, როგორც სხვა ქართული მხარეების გადასარჩენად, მტრის კლანჭებისაგან მის გამოსაგლეჯად. აღსანიშნავია, რომ თამარ მეფის დროს ლორე-ტაშირი, კერძოდ, ქალაქი ლორე აყვავდა, აშენდა იქ სასახლეები, ეკლესია-მონასტრები, ხიდები. თამარის ანდერძს ჩვენი წინაპრები ხომ ყოველთვის უფრთხილდებოდნენ თვალის ჩინივით და უკიდურესი გაჭირვების, სილატაკის ჟამსაც ვერ შეურიგდებოდნენ ლორე-ტაშირის დაკარგვას, მტრის მიერ მის მოგლეჯას საქართველოს სხეულიდან.

ალექსანდრე I-ის მეფობაში, საფიქრებელია, ქართველთა ჯარმა არაერთხელ შეუტია ლორე-ტაშირში მოკალათებულ მტერს, მაგრამ ამ მხარის, კერძოდ, ლორეს ციხე-სიმაგრის სრული განთავისუფლება 1314 წელს მომხდარა. იმავე წელს დასრულებულა სვეტიცხოველის „ახლად განვრცომა და აღშენება." ნიშანდობლივი ჩანს ამ ორი დიდი მოვლენის დროში თანხვდენილობა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართველთა ჯარმა ჯერ აღდგენილი სვეტიცხოველის დიდ ტაძარში ილოცა და შემდეგ დაიძრა ლორესკენ, ქართველთა ჯარს სვეტიცხოველმა გზა დაულოცა. ამგვარი რამ დასაშვებია იმიტომ, რომ ლორეს გასანთავისუფლებლად მოწყობილ ომს აშკარად დაპკრავს ჯვაროსნული იერი. აგარიანთაგან, ე. ი. მაჰმადიანთაგან მიტაცებული ლორე-ტაშირის, ლორეს ციხე-სიმაგრის განთავისუფლების საქმეში დიდი წვლილი შეუტანია ქართველთა იმდროინდელ კათოლიკოსს თევდორეს „ვედრებითა ღმრთისათა და კუალად ლაშქართა მიმცნებითა ესრეთ, ვითარმედ: „ამა უსჯულოთა აგარის ნათესავთა (მოდგმას, ჯილაგს — გ. კ.) ანდრონიკეს შვილი ალასტანელი (ალასტანი სოფელია ჯავახეთში — გ. კ.) გიორგი მოუკლავს, და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყუებიან, და ტახტი მეფეთა განურყვნია, და საპატიონი და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან, სახლ-სალოცველი ქუაბ ავაზაკთა უქმნია და მათთათვის საყოფად განუჩენია." ქვეყნის გადასარჩენად, მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად სხვა გზა აღარ დაგვრჩენიაო და „აწ ბრძოლეთ ძლიერად და დაღათუ ვინმე ომსა შიგან აღსასრული მიიღოთ, ქრისტესთუის წამებულთა გუერდის მიითუალვით, და დაღათუ ვინმე დაკოდითა ანუ დაშავებითა და რათაცა ტკივილით იტანჯებით, ყოველსავე ქრისტემისად ნებისმყოფელად მიითუალავს."

ბრძოლის ჟინით ანთებულმა ქართულმა ჯარმა შეძლო ლორე-ტაშირის, ლორეს ციხე-სიმაგრის განთავისუფლება მტრისგან. ლორე-ტაშირში კვლავ აღდგა სამამულო მიწისმფლობელობის წესები, ამ მხარეში კვლავ აღწევდა ჩაკლული ქართული სული. ლორე-ტაშირის საქართველოსთვის დაბრუნებას კი იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის, რომ ამის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა კავკასიაში შესამჩნევად განმტკიცდა. ასე მაგალითად, ყარაბაღის მომიჯნავე სივნიეთის მფლობელმა, ძველი ქართული საგვარეულოს, ორბელთა წარმომადგენელმა, ბეშქენმა თავისი სამფლობელო, სივნიეთი საქართველოს შეუერთა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართული პური... რეალობა და პერსპექტივები

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ძველი კავშირების მოშლამ თავისებური ნეგატიური გავლენა იქონია ქართული პროდუქტების წარმოებაზე. ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების მკვეთრმა სხვაობამ, საბაჟო თუ სხვა გადასახადების გვერდის ავლით ქვეყანაში პროდუქტების იმპორტმა, შეიძლება ითქვას, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქართველი მეწარმეები. უჭირს სოფლის მეურნეობას, მრეწველობას და ეკონომიკის იმ დარგებს, რომლებიც უახლოეს წარსულში ჩვენი ეკონომიკის აღმავლობის პრიორიტეტებს წარმოადგენდა.

ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე სააქციო საზოგადოება „მარნეულის პურპროდუქტების" დირექტორს თამაზ ძაგნიძეს გავესაუბრეთ.

შტრიხები პორტრეტიდან:

თამაზ ძაგნიძე: უმაღლესი განათლებით, სპეციალობა ინჟინერი. 20 წელი მუშაობდა სახელმწიფო აპარატში, — დაწყებული მელიორაციისა და წყალგაყვანილობის სამინისტროდან დამთავრებული აგროსამრეწველო კომიტეტით. იყო სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, ბოლოს კი კომერციული სამსახურის ხელმძღვანელი.

1994 წლიდან სააქციო საზოგადოება მარნეულის „პურპროდუქტების" კომერციული დირექტორი. ჰყავს მეუღლე და 3 შვილი. ამჟამად აღნიშნული ორგანიზაციის გენერალური დირექტორია.

— ბატონო თამაზ, მას შემდეგ, რაც თქვენ დირექტორად დანიშნეთ, რაიმე მნიშვნელოვანი თუ გაკეთდა?

— საერთოდ, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი შედარებითია. რა თქმა უნდა, გაკეთდა ძალიან მნიშვნელოვანი რამ, მაგრამ უფრო თვალსაჩინო იქნება, თუ გადავხედავთ მას შემდგომ პერიოდს, რაც მე გენერალური დირექტორი გავხდი. არამედ იმ 4-5 წელიწადს, რაც მე ამ კომბინატში მოვედი, რა დაგვხვდა, როგორ შევინარჩუნეთ და მოვიტანეთ დღევანდელობამდე თითქმის ყველაფერი უკლებლად. კომბინატი საერთოდ ვერ მუშაობდა ელექტროენერგიისა და წყლის უქონლობის გამო. მოგეხსენებათ, 1994 წელს საწარმო-დაწესებულებებს ენერგია ძალიან მცირე რაოდენობით მიეწოდებოდა. ისეთი რაიონისთვის კი, როგორიც მარნეულია, სადაც მოსახლეობა სასმელ წყალს მანქანებით ეზიდება, ბუნებრივია, ყველა იმ პრობლემას, რომელიც ჩვენ გაგვაჩნდა, წყლის პრობლემაც ემატებოდა. წარმოიდგინეთ, ამხელა კომბინატისთვის რამდენი მანქანა წყალი უნდა მოიტანო, რომ ხორბალი დაასველო. ამის გარეშე კი, ე. ი. თუ ხორბალმა ტენიანობის გარკვეულ ნორმამდე არ მიაღწია, ისე არ დაიფქვება. პროდუქციასაც ვერ მივიღებთ, ძირითადად ჩვენ მოვახერხეთ ამ პრობლემის მოგვარება. ელექტროენერგია სისტემატურად მოგვწოდება. გვაქვს ავტონომიური წყლის კვების სისტემა. გაკეთდა 3 კილომეტრიანი წყალგაყვანილობის მაგისტრალი. გავარემონტეთ რკინიგზის ჩიხი. ჩავატარეთ გადახურვითი სამუშაოები. ეს იყო ომის შემდგომი პერიოდი, როცა ყველაფერი იძარცვებოდა, ინგრეოდა ქვეყანა.

უნდა აღინიშნოს, რომ სანამ გადახურვას გავაკეთებდით, ძველი სახურავი დაზიანებული იყო. კომპლექსში ჩადიოდა წყალი. ფუჭდებოდა მზა პროდუქცია. შევიძინეთ ორი ავტობუსი, რადგანაც ჩვენ კომბინატი ქალაქგარეთ არის, ამ უკანასკნელის გაკეთება აუცილებლად მივიჩნიეთ, მუშებმა რომ სამსახურში არ დაგვიანონ. საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. ყველანაირი სტანდარტი დაცულია. ეს რაც შეეხება იმ ოთხწლიან პერიოდს.

ადრე აქ დირექტორი იყო სოსო ქარსელაძე. ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს ერთმანეთთან.

დავიწყეთ ქარხნის ლიბერალიზაცია. განხორციელდა ობიექტის სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადაცემა. 1996 წლის აპრილიდან კი ჩვენი კომბინატის მმართველი ორგანო არის სააქციო საზოგადოება „აგროინვესტი". საკონტროლო პაკეტი მართვის უფლებით სწორედ მათ ჰქონდათ გადაცემული. ასე, რომ სახელმწიფოს არანაირი პროცენტული საკუთრება არ გააჩნია. დასკვნისათვის შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ აგროინვესტის მეშვეობით ვმუშაობთ ორი წელია.

— ბატონო თამაზ, როგორც ყველა ორგანიზაციას, რაც არ უნდა გამართული მუშაობა იყოს, პრობლემები მაინც აქვს. ალბათ არც თქვენ იქნებით ამ მხრივ გამონაკლისი.

— რა თქმა უნდა, როგორც ყველა პურკომბინატს, ჩვენს უდიდესი პრობლემა შეგვიქმნა პროდუქციის რეალიზაციის საკითხმა. მოგეხსენებათ, ნედლეულიც გვაქვს, ხარისხიც კარგია, მაგრამ შემოტანილი პურის ფქვილი მაინც პრობლემას გვიქმნის.

— თქვენის აზრით, ხომ არა აქვს ადგილი არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. ავიღოთ თუნდაც იგივე თურქეთის მაგალითი. მუშახელი ძვირია. პროდუქციას სჭირდება დამუშავება, შემოტანისათვის საჭიროა ტრანსპორტირება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დღგ და საბაჟო გადასახადი გადასახდელია...

— ამასთან დაკავშირებით მე ადრეც მქონდა საუბარი. მართალია, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ საკუთარი აზრი ამასთან დაკავშირებით გამაჩნია. აქ არის უბრალოდ ელემენტარული არითმეტიკა. საზღვარზე შემოტანილი 1 ტ. ფქვილის დემპინგური ფასი 300 დოლარია, 34,3 საზღვარზე შემოსვლის დროს ერიცხება. ყველაფერ ამას სხვა გადასახადებთან ერთად ემატება დღგ, საბაჟო გადასახადი, რომელიც დაახლოებით 105 დოლარს აღწევს. ე. ი. შემოტანილი ფქვილი უკვე საზღვარზე 405 დოლარს აღწევს. დავამატოთ ტრანსპორტირების ხარჯები, მინიმუმ 15 დოლარის ოდენობით. რეალიზაციის ხარჯებიც გასათვლისწინებელია. ე. ი. თუ ელემენტალური არითმეტიკით ვიმსჯელებთ, 1 ტომარა შემოტანილი პურის ფქვილი 28 ლარზე ნაკლებად არ უნდა იყიდებოდეს.

ჯ. კაპანაძე

P.S. რედაქციას მართლაც აქტუალურად მიაჩნია აღნიშნულ პრობლემებზე დაინტერესდეს არა მარტო ქართული მასმედია, არამედ ის კომპეტენტური ორგანოებიც, რომელთა კომპეტენციაშიც სწორედ აღნიშნული პრობლემის მოგვარება შედის.

ჩვენ კი ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ ადამიანს, რომელსაც შეუძლია თუნდაც მეტნაკლებად იმსჯელოს ამა თუ იმ საკითხზე, ლოგიკიდან გამომდინარე, ბევრი ფიქრი არ დასჭირდება ამ პრობლემის სათავეს მიაგნოს. საინტერესოა, მაშ რად უყურებენ ასე ლოიალურად მავანნი და მავანნი ამ მეტად აქტუალურ საკითხს.



ჰოლივუდის საიდუმლოებანი

ლეონარდო დიკაპრიო
(ცხოვრება და კარიერა)

ამჯერად ჩვენ პრესს საშუალებით კვლავ ვუბრუნდებით ახალგაზრდობის კუმირს, მსახიობ



ლეონარდო დიკაპრიოს.

ლეონარდო დაიბადა 1974 წლის 11 ნოემბერს ლოს-ანჯელესის ღარიბთა უბანში. მსახიობის მშობლები, „ჰიპები", ლეოს დაბადების შემდეგ ერთი წლის ასაკში დაშორდნენ, ხოლო პატარა იზრდებოდა სიღარიბესა და სიბინძურეში, რაც მსახიობს არ შეშვენოდა, თუნდაც იმიტომ, რომ დედამისმა სახელი დიდი მხატვრის, ლეონარდო დავინჩის პატივსაცემად დაარქვა.

ხუთი წლის იყო ლეო, როცა სარეკლამო კლიპებში იღებდნენ, ხოლო თოთხმეტი წლის ასაკში უკვე სერიალებში ვხვდებოდით: „ახალი ლესი" და „სანტა ბარბარა".

ასე ეტაპობრივად მიუახლოვდა დიდ კინოს მსახიობი, რომელსაც მსახიობის ხელოვნება არ უსწავლია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სურათმა „ცხოვრება ამ ყმაწვილისა" დიდი გამოხმაურება ჰპოვა კინოკრიტიკოსებში. „დიკაპრიო არის — ახალი მარლონ ბრანდო და ჯეიმს დაინი ერთად აღებული", ხოლო ჟურნალისტებმა იგი აღიარეს, როგორც ვარსკვლავი და სექსსიმბოლო. ამავე წელს მსახიობი მიიწვიეს რეჟისორ ჯონი დეპის ფილმზე „გილბერტ გრეიპი", სადაც ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა, სწორედ ამ სურათიდან დიკაპრიოს გმირი — ერნი წარდგენილი იქნა ოსკარის ნომინაციაზე.

ფილმს „გილბერტ გრეიპს" მოჰყვა სურათი რეჟისორ ბაზ ლურმანის „რომეო და ჯულიეტა", ამ სურათის შესახებ მსახიობი ამბობს: „თუ ყურადღებით წავიკითხავთ პიესას, ნათელი გახდება, რომ რომეო ნამდვილად ძლიერი ბიჭი იყო, რომელსაც უეცრად უყვარდება ჯულიეტა, ეს არის ისტორია ადამიანზე, რომელიც ცხოვრების დინებამ წაიღო და ვეღარ ჩერდება, ჩვენს დროში ასეთი ადამიანები მირბიან ლასვეგასში, სადაც ადვილად შეიძლება დაქორწინება, და მაშინ...

სწორედ ამაში მდგომარეობს ისტორიის სილამაზე."

ლეონარდო დიკაპრიო გახდა იდეალური რომეო ათასწლეულის დასასრულს — მგრძნობიარე, ცოტა ცინიკური და ემოციური სიყვარულში.

ფილმისათვის „რომეო და ჯულიეტა" მსახიობმა ბერლინის კინოფესტივალზე მიიღო პრიზი მამაკაცის საუკეთესო როლისათვის.

ახლა ცოტა რამ ფილმზე, რომელმაც 12 ოსკარი აიღო და მაყურებელთათვის საყვარელი გახდა. ეს არის ჯეიმს კამერონის სურათი „ტიტანიკი", სადაც მთავარი გმირის — ჯეკის შემსრულებელი ლეონარდო დიკაპრიოა. იგი აღნიშნავდა, რომ „რთულია კამერონთან მუშაობა, რადგან უბრალო გასვლით სცენასაც კი 23 დუბლის მეშვეობით იღებს, ეს კი, რა თქმა უნდა, ძალიან დამღლელია."

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მართალია, დიკაპრიო ოსკარზე არ წარუდგენიათ, მაინც დიდების მწვერვალზე აიყვანა ფილმებმა: „რომეო და ჯულიეტა", „ტიტანიკი",

ისევე, როგორც ყველას, პრობლემა ლეონარდო დიკაპრიოსაც აქვს...

მან ჰონორარის გარეშე ითამაშა ერთ-ერთ დამწყებ მეგობარ რეჟისორთა ფილმში „ლაზლანდარა ქალბატონი", სადაც ნარკომანი დერეკის როლი შეასრულა. ახლა კი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ეკრანზე არ მოხვდეს ეს სურათი, რადგან ხელს შეუშლის კარიერაში და იმიჯი რომანტიკოსი ახალგაზრდისა შეიბღალება.

დიკაპრიო — თაყვანისმცემელია „პოპის" და „რეპის", ხოლო მისი საყვარელი ჯგუფია „პინკ ფლოიდ", საყვარელი წიგნია ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა", ფილმი „ნათლია", მსახიობები რობერტ დენირო, ჯეკ ნიკოლსონი, მეგ რაიანი. რეჟისორები — კონ კასავატისი, ფ. ფელინი, ა. ჰიჩკოკი,

დიდებული ელექსისი
(ჯოან ქოლინზი კვლავ ეკრანზეა)

ჯოან ქოლინზი კვლავ ბრუნდება და ითამაშებს მთავარ როლს რეჟისორ კრისტოფერ მაილზის სურათში „საიდუმლო ქორწინება", მისი პარტნიორი იქნება მსახიობი ნაიჯელ ხოტორნი. სურათი კომედიური ჟანრისაა, ხოლო მოქმედება ხდება XVIII საუკუნეში, ინგლისში.

ამჯერად ქოლინზი ამთავრებს მორიგ წიგნს სახელწოდებით „ჩემი მეგობრების საიდუმლოებანი".

მსახიობი წერს: „მე გამოკითხვა ჩავატარე 20 ჩემს მეგობარს შორის, რომ-

ლებიც საუბრობენ სილამაზის, ჯანმრთელობისა თუ სიმდიდრის საიდუმლოებებზე."

ჯოან ქოლინზის მეგობრებს შორის კი არიან: ივანა ტრამპი, დაიანა ქერონი, მიკ ჯაგერის მეუღლე (ჯერი ხოლი) და სხვები. ახლა კი წიგნის ფინალისათვის ელოდება ინფორმაციას პროდიუსერ რობერტ ევანსონის მეუღლე კატრინ ოქსენბერგისაგან. სწორედ ეს უკანასკნელი ასრულებს ტელესერიალ „დინასტიაში" შვილის, ამენდას როლს.

ჯეკ ნიკოლსონ
თავის რეპერტუარშია

ვერავინ შეეჯიბრება ჯეკ ნიკოლსონს „მოხუცებულობას". თუმცაღა „ოსკაროსანი" მსახიობი სამოცდაერთი წლისაა, მაგრამ

დროს მაინც კარგად ატარებს. მაგალითად, მსახიობის მაიამი-ბიჩზე გართობამ „ჯოკერით" გაცილებით დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ვიდრე ჯორჯ კლუნისა და ლეონარდო დიკაპრიოს სტუმრობამ.

თავად ჯეკ ნიკოლსონი კი ძლივს არიდებდა თავს უამრავ, ლამაზ თაყვანისმცემელთა შემოტევას. თვით მსახიობი მოზღვავებულ ხალხს სიგარეტ გაუმასპინძლდა, ხოლო კლუბის მფლობელებს ორჯერ მოუხდათ დაცვის გამოძახება, რათა შემოტევისაგან დაეცვათ ნიკოლსონი და სუვენირები.

რა დაემართა ჯოდი ფოსტერს

ჰოლივუდის ფოლადის პატარა ქალბატონმა, ჯოდი ფოსტერმა, გადაღებაზე უარი განაცხადა ფილმში „ორმაგად სახიფათო", რომ-

ლის რეჟისორია ბრიუს ბირსფორდი, ხოლო ტრილერი შეფასებულია 39 მილიონ დოლარად. სულ მალე გამოირკვა, რომ მიზეზი მსახიობის ავადმყოფობა იყო, მას ხომ არაერთხელ ჰქონია შემთხვევა, უარი ეთქვა კინოპროექტზე, მიზეზი ყოველთვის ან ჰონორარია, ან კიდევ ხელოვნური შეუსაბამობა, როგორც ფილმ „თამაშობის" გადაღებისას მოხდა. 35 წლის ქალბატონის ცხოვრება, სხვა ჰოლივუდის ვარსკვლავებთან შედარებით დაფარულია. როგორც შემდეგ გამოირკვა მსახიობი გახდა პატარა ჩარლზის დედა, რომელსაც ერთდროულად ორი მამა ჰყავს. ესენი არიან რენდი სტოუნი და ნიუ-იორკის ავეჯის დიზაინერი მარკო პასანელი. რაღა თქმა უნდა, ორივე მამაკაცი დიდი სიმამაცით გახდებოდა კინოვარსკვლავის მეუღლე, მაგრამ როგორც მსახიობი ამბობს, „მე მიყვარს რენდიც და მარკიც, მოხარული ვარ, რომ სწორედ ისინი არიან ჩემი შვილის მამები, არც იმას ვიტყვი, რომ არ მინდა მამაკაცი ჩემს ოჯახში. არა, უბრალოდ, არ მინდა არჩევანი შევაჩერო რომელიმეზე, რომელთანაც ცხოვრების ბოლომდე დავრჩები."

ასე რომ, ჯოდი ფოსტერი კისრულობს მარტოხელა დედის მოვალეობას.

ჯულია რობერტსს
კვლავ უნდა გახდეს ლამაზმანი

ყველაზე ძვირადღირებულმა მსახიობმა ჰოლივუდში, ჯულია რობერტსმა თავის წონასთან შედარებით 15 კილოგრამი მოიმატა, რომელმაც საოცარი ცვლილება შეიტანა მის სხეულსა თუ სახეზე, რის გამოც სათვალეებით უხდება სარული.

მიუხედავად ამისა, მსახიობი ცდილობს ხშირად იაროს ტრენაჟორებზე და შევიდეს მხოლოდ დიეტურ კაფეებში, თავის „ბოიფრენდთან", ტელევარსკვლავ ბენჟამენ ბრეტთან ერთად.

მაშ ასე, ჯულია რობერტსი ემზადება როლისთვის „გაქცეული საცოლე", რომელშიც პარტნიორობას გაუწევს მსახიობი რიჩარდ გირი. ეს ხომ ის წყვილია, რომლებმაც ფილმ „ლამაზმანში" ითამაშა და ის სურათი, რომელმაც ასეთი აღიარება მოუტანა

კინოვარსკვლავს.

ხელენ ხანტი
(ტელეღმერთი)

ხელენ ხანტი ტელესერიალების მსახიობია, რომელიც ძალიან უყვარს ამერიკის მოსახლეობას.

კინემატოგრაფში ხშირად ხდება, რომ ტელესერიალებიდან მსახიობი კინოში გადადის და ვარსკვლავიც ხდება, მაგრამ არავის და არასოდეს არ მიუღია „ოსკარი" ერთდროულად თამაშისათვის კინოში და ტელეშოუში, რომელიც მილიონობით მაყურებელს იზიდავს ეკრანთან.

პირველი ასეთი მსახიობი გახდა ხელენ ხანტი, რომელმაც „ოსკარი" აიღო რეჟისორ ლ. ბრუკსის სურათისთვის „უკეთესი არ ხდება", სადაც მას პარტნიორობას უწევს ჯეკ ნიკოლსონი.

ამავე რეჟისორმა 1987 წელს გადაიღო იგი „ახალ ამბებში", რითაც ხანტი ცნობილი გახდა, ხოლო მანვე 10 წლის შემდეგ მსახიობი გახადა „ოსკაროსანი".

როგორც ხელენი ამბობს, თურმე ეშინოდა ჯეკ ნიკოლსონის პარტნიორობის: „მე ვთვლიდი საკუთარ თავს ძალად მსახიობად, არასოდეს მოვხვედრივარ ასეთ კომპანიაში და არ მიყვარს რისკი." ასეთი წარმოდგენის მიუხედავად, მან შეძლო ისე ეთამაშა, რომ სურათში მისი მსახიობური ნიჭი კი არ დაიჩრდილა კინოს ტიტანის ჯეკ ნიკოლსონის მიერ, არამედ გამოჩნდა და დიდების მწვერვალზე ავიდა.

ხელენ ხანტის ფილმოგრაფიაში იყო ხმაურიანი ფილმებიც, როგორებიც არის „ბატონი შაბათ საღამოს", „სიკვდილის კოცნა" და სხვები.

ხელენ ხანტის შესახებ უამრავი ჭორი დადიოდა: ეგონათ, ტელესერიალიდან დიდ ეკრანზე გადაინაცვლებსო, მაგრამ მსახიობმა ეს მითქმა-მოთქმა გაფანტა იმით, რომ ოსკარების ცერემონიის მეორე დღესვე ხელი მოაწერა ტელესერიალის როლზე, რომლის ჰონორარიც 250 ათას დოლარს არ აღემატება, ამის შემდეგ ხელენი გახდა არა მხოლოდ ვარსკვლავი, არამედ „ტელეღმერთი."

რეალური ცხოვრება მსახიობს კარიერისაგან მოშორებით აქვს. იგი არასოდეს ლაპარაკობს პრესისათვის პირად ცხოვრებაზე. რომანზე მეთიუ ბროდერიკოსთან, ახლანდელ საყვარელზე, ხენკ აზარიოზე, რომელიც „კადრსმიღმა მსახიობია", უფრო სწორად რომ ვთქვათ, ახმოვანებს „სიმფონიებს" და მრავალ სხვა რამეს.

მასალების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით სტუდია „ვიდეოეკრანს"

ნათია კორახაშვილი

ტრანსპორტის მუშაობაზე აუგს ვერ ვიტყვით

დიდი ძალაძი წარმოუდგენელია განვითარებული ტრანსპორტის გარეშე. სატრანსპორტო საშუალებები და საგზაო კომუნიკაციები ქალაქის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ნორმალურად წარმართვის აუცილებელ პირობას შეადგენენ.

ტრანსპორტი ერთ-ერთი პირველხარისხოვანია იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც თბილისის სამეურნეო ცხოვრებაში არსებით როლს ასრულებენ.

შიდასაქალაქო ტრანსპორტი კარგად განვითარებული საქალაქო ცხოვრების უმნიშვნელოვნესი ელემენტია.

კარგად განვითარებულ საქალაქო ცხოვრებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ სხვა საარსებო წყაროებთან შედარებით შიდასაქალაქო ტრანსპორტის მუშაობაზე ჯერჯერობით აუგს ნამდვილად ვერ ვიტყვით.

ჩვენ დავინტერესდით ამ სფეროში მიმდინარე პროცესებით და საინაცვლო საზოგადოება „თბილტრანსის“ გენერალურ დირექტორს, ბატონ ზურაბ გაგუნაშვილს გავესაუბრეთ.

— ბატონო ზურაბ, ორიოდე სიტყვით თქვენი ორგანიზაციის შესახებ და საერთოდ რას გვეტყვით ქალაქში ტრანსპორტის მუშაობაზე?

— ჩვენი ორგანიზაცია ქ. თბილისში ძალიან მნიშვნელოვნა, ვინაიდან ის ძირითადად საგზაო ტრანსპორტს ემსახურება. ეს ის ტრანსპორტია, რომლითაც მოსახლეობის თითქმის 60% სარგებლობს — ავტობუსი, ტროლეიბუსი და ტრამვაი.

მიუხედავად იმისა, რომ 8 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დედაქალაქში არ შემოსულა ახალი მოძრავი შემადგენლობა, ჩვენ მაინც ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ დედაქალაქში გამოსული ჩვენი ტრანსპორტი წესრიგში იყოს. 3 წელია, ქალაქში არ დაწერილა არც ერთი საჩივარი. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მგზავრი ქუჩაში დარჩენილიყო. ეს მარტო ჩვენი დამსახურება, რა თქმა უნდა, არ არის, რადგან გამართულად მუშაობს მეტრო და ქალაქში დაახლოებით 2000-მდე სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს. რაც შეეხება მგზავრს, თუ რა სახის ტრანსპორტს არჩევს — ეს უკვე მის ბიუჯეტზეა დამოკიდებული.

ხვალ-ზეგ როდესაც ქალაქში ფაბრიკა-ქარხნები ამუშავდება, მეტი მოთხოვნილება გაჩნდება ავტობუსებზე. საჭირო იქნება ავტობუსები, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებს მოემსახურება. ჩვენ ამ საკითხებზე ვმუშაობთ ქალაქის მერიასთან და იმედი გვაქვს, თანდათანობით შემოვა ქალაქში ახალი ავტობუსები და გაჩნდება ისევ ის რაოდენობა, რაც იყო 10 წლის წინათ.

— ბატონო ზურაბ, არის თუ არა გადაუჭრელი პრობლემები და თუ არის, როგორია მათი მოგვარების პერსპექტივა?

— რა თქმა უნდა, პრობლემები არის. ისეთ განვითარებულ ქალაქებში, როგორიცაა პარიზი, რომი, სადაც ავტობუსის მოსვლაზე შეიძლება საათი გაასწორო, — იქ არის პრობლემები და დღევანდელ საქართველოში ეს გასაკვირი არ უნდა იყოს.

ჩვენ უმთავრესი პრობლემაა არსებული ტრანსპორტის განახლება. ჩვენ გვაქვს 13-14 წლის ტროლეიბუსები, უფრო ძველი ავტობუსები, რომლებიც აუცილებად ახლით უნდა შევცვალოთ. აუცილებლად გვჭირდება დედაქალაქში ელექტროტრანსპორტის განვითარება, რადგან ეს არის სუფთა ეკოლოგიური ტრანსპორტი. მხედველობაში მაქვს ტრამვაი და ტროლეიბუსი.

— სიახლეები თუ არის ამ სფეროში?

— მიუხედავად დღევანდელი ფინანსური მდგომარეობისა, ჩემი თაოსნობით 2 წლის წინათ დიდ დიღომში დავიწყეთ მუშაობა, რათა შეგვეყვანა ტროლეიბუსი. საქმის 70% უკვე შესრულებულია, როგორც კი გვირაბის გაკეთება დასრულდება, ჩვენ უკვე დიდ დიღომში ტროლეიბუსით შევალთ. ეს დიდი გამარჯვება და მხარდაჭერა იქნება იქ მცხოვრები მოქალაქეებისა, რადგან ამით ტრანსპორტის პრობლემა, ფაქტიურად, მოიხსნება.

მერიასთან შეთანხმებით ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ მოსკოვის ერთ-ერთ საგზაო ინსტიტუტთან. მზადდება პროექტი თბილისში ტრანსპორტის განვითარების შესახებ.

კიდევ არის სიახლე. ჩვენთან ამჟამად სტუმრად იმყოფება ფრანგი ბიზნესმენი. ჩვენი ერთობლივი ჩანაფიქრია, რომ დედაქალაქის რომელიმე უბანზე ჩქაროსნული ტრამვაის მარშრუტი გავაკეთოთ, რომელიც საათში 60 კმ-ს გაივლის. მაგრამ იმ გზაზე, სადაც ჩქაროსნული ტრამვაი ივლის, არ უნდა იმოძრაოს სხვა სახეობის ტრანსპორტმა. ფრანგ ბიზნესმენს დავათვალიერებინეთ ქალაქი და ამისთვის მოეწონა დიდი დიღომი — გლდანის მასივი. ამ მონაკვეთზე არის საშუალება, რომ სხვა სახის ტრანსპორტმა არ იაროს. გაკეთდა ნახაზები. ამ დღეებში შევხვდებით ქალაქის მერს, სადაც ამ საკითხს განვიხილავთ. ამის გარდა თბილისში 20 ფრანგული ავტობუსი იქნა ჩამოყვანილი. ეს ნახმარი ავტობუსებია, მაგრამ აქ უტარდება კოსმეტიკური სამუშაოები.

— ბოლო დროს რა განსაკუთრებული ღონისძიებები ჩაატარეთ?

— ბოლო დროს, მხედველობაში მაქვს ივნისი, ივლისი და აგვისტო, „თბილტრანსის“ არცერთ თანამშრომელს არ დაუსვენია. როგორც მოგეხსენებათ, ზაფხულის პერიოდში მგზავრების რაოდენობა იკლებს ქალაქში და ჩვენ ყველა სახის ტრანსპორტი მორიგეობით გავაჩერეთ და განვაახლეთ. გარედანაც და შიგნიდანაც შეიღება, ერთი სიტყვით, ყველანაირი ტრანსპორტი წესრიგში მოვიყვანეთ.

მე ვთხოვ ახალგაზრდობას, ნუ დაჭრიან სავარძლებს. ძალიან ძვირი ღირს მასალა. საცოდაობაა, ჯერ მისი შოვნა, ყიდვა, მერე მისი შეკერვა და ჩაცმა. ეს ტრანსპორტი ყველას გვჭირდება და გთხოვთ მას გავუფრთხილდეთ.

ნ. ჟანტურია
ნ. ქველაია

სამართალი

„ომეგას“ ადვოკატთა პრესკონფერენცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ, „ელიზი“-„ომეგას“ გახმაურებული საქმეზე, 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენის გამოცხადების შემდეგ, თითქმის ერთი თვე გავიდა, რაც საკმაო დროა აღნიშნული განაჩენის კანონიერების გასარკვევად და გასაანალიზებლად.

სწორედ ამ თემას მიეძღვნა დაზარალებული ფირმა „ომეგა“-ს დამცველი ადვოკატის თემურ გვიშიანის, „ომეგა“-ს დაზარალებულ თანამშრომელთა ადვოკატების თამაზ რუხაძისა და მარიკა სვანიძის მორიგი, განაჩენის გამოტანის შემდეგ მოწყობილი პირველი პრესკონფერენცია.

ადვოკატმა თემურ გვიშიანმა მოსამართლე ლენგერ ბოჭორიშვილის მიერ გამოტანილ ზემოთაღნიშნულ განაჩენს კანონიერი და ობიექტური უწოდა და იქვე დასძინა:

— ნუ იფიქრებთ, ასეთ დასკვნას იმიტომ ვაკეთებდე, განაჩენთ „ელიზელები“ რომ გამტყუნდნენ. თვით საქმეზე მოპოვებულმა ობიექტურმა და უტყუარმა მტკიცებულებებმა განაპირობა ისეთი განაჩენის დადგომა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ლენგერ ბოჭორიშვილს, რომელმაც ისე წარმართა ოთხთვიანი სასამართლო სამსჯავრო გამოძიება, როგორც მაღალკვალიფიციურ, პრინციპულ და უშიშარ მოსამართლეს ეკადრებოდა...

სასამართლო კოლეგიის მიმართ საჯაროდ მადლობის გადახდის შემდეგ (რადგან სიმართლე არ დაუკარგეს ფირმა „ომეგა“-ს), ადვოკატმა თემურ გვიშიანმა განაჩენის 35-ე გვერდიდან შემდეგი ამონარდი გაგვაცნო ჟურნალისტებს:

- წინასწარი გამოძიების ორგანომ 1997 წლის 4 ივლისის დადგენილებით, საქმიდან გამომდინარე მთელ რიგ საკითხებზე, რომელთა დამოუკიდებლად შესწავლა გავლენას არ მოახდენდა ძირითადი საქმის საბოლოო გადაწყვეტის სისრულესა და ობიექტურობაზე, სისხლის სამართლის საქმიდან №0897806 (სწორედ ამ საქმეზე დადგა 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენი — თ. ქ.) ცალკე წარმოებად გამოიყო საქმე №7497847, ავადმყოფობის გამო, საბრალდებო დასკვნით ბანდიტური ჯგუფის ორგანიზატორად მიჩნეულ თამაზ გურამის ძე ელიზბარაშვილის, ამავე საბრალდებო დასკვნით ბანდიტური ჯგუფის წევრებად მიჩნეული მიმალვაში მყოფი ზვიად ტურიაშვილის, დავით კოშკაძის, ტარიელ არველაძის, ტრისტან ჭოხონელიძის, ნიკოლოზ გიორგაძის და სხვა“...

ამ, არცთუ მცირე ამონარიდის მოტანა ადვოკატ თემურ გვიშიანს იმიტომ დასჭირდა, ხაზი რომ გაესვა შემდეგი გარემოებისათვის:

— 1998 წ. 20 აგვისტოს განაჩენის გამოცხადებამდე მოწყობილ ჩვენს პრესკონფერენციებზე — განაცხადა ბატონმა თემურმა, — მე ყოველთვის ვიცავდი უდანაშაულობის პრეზუმფციას და ფირმა „ელიზი“-ს პრეზიდენტს თამაზ ელიზბარაშვილს მოვიხსენიებდი ხოლმე, როგორც ბრალდებულს ბანდის ორგანიზატორობაში. ახლა კი, ამ განაჩენს საფუძველზე, სადაც დადასტურებულადაა მიჩნეული, რომ სწორედ „ელიზი“-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო „ელიზელთა“ ბანდის ორგანიზატორი, მე შემიძლია თამაზ ელიზბარაშვილს ბრალდებული კი არა, უკვე დამნაშავე ვუწოდო, როგორც კონკურენტი ფირმა „ომეგა“-ს საწინააღმდეგოდ შექმნილი ბანდიტური ჯგუფის ორგანიზატორს...

— კი, მაგრამ, მისი გვარ-სახელი რომ არ ფიგურირებს იმ „ერთ-ერთი“ ხელმძღვანელის“ გვერდით? — დაინტერესდნენ ჟურნალისტები.

— გვარ-სახელი იმიტომ არ წერია, — განმარტა თემურ გვიშიანმა, — რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის სპეციალური დადგენილებით სასამართლოებს ეკრძალებათ განაჩენში იმ პირის პერსონალურად (გვარ-სახელით) მოხსენიება, ვისი საქმეც არ ირჩევა სასამართლოში... მაგრამ, ვინც ყურადღებით წაიკითხავს ამ განაჩენს, ობიექტურობის ნასახი თუ მაინც გააჩნია, თავადვე დარწმუნდება, რომ ბანდის ორგანიზატორად განაჩენით დადგენილ „ელიზი“-ს „ერთ-ერთ ხელმძღვანელში“ სწორედ „ელიზი“-ს თავდებში მყოფი პრეზიდენტი — თამაზ ელიზბარაშვილი იგულისხმება.

— ეს თუ ასეა, მაშინ რატომ არ ლებულობენ სათანადო ზომებს მის მიმართ? — ლოგიკური კითხვა დასვეს მასმედიის წარმომადგენლებმა.

ამ კითხვას ადვოკატმა მარიკა სვანიძემ უპასუხა: — თამაზ ელიზბარაშვილმა ავადმყოფობის მოტივით აარიდა თავი გამოძიებასაც და სასამართლოსაც, მაგრამ ჩვენ, „ომეგა“-ს ადვოკატების განცხადების საფუძველზე, ჯანდაცვის სამინისტროში შექმნილმა ექიმთა სპეციკომისიამ ეჭვქვეშ დააყენა თ. ელიზბარაშვილის დაპატიმრების შემდეგ მასზე გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზათა დასკვნების ობიექტურობა, რაც დოკუმენტურადაა დაფიქსირებული 1998 წლის 21 აგვისტოს იმ დასკვნაში, რომელსაც ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ა. გამყრელიძე აწერს ხელს.

კოლეგიის ნათქვამს თემურ გვიშიანმაც დაამატა ორიოდე სიტყვა:

— კი, მაგრამ სამედიცინო კომისიაც სასამართლოა, თ. ელიზბარაშვილი თავს რომ არიდებს? მოვიდეს, გაიაროს ობიექტური სამედიცინო კომისია, და თუ მართლაც ავადაა, გამოძიების პროცესი არ განახლდება. თუ არადა, კანონით მინიჭებული უფლებების გამოყენებით ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა... მაგრამ მან მშვენივრად იცის, რომ დამნაშავეა და ყოველმხრივ ეცდება თავი აარიდოს მისთვის არასასიამოვნო გამოძიებასა და სასამართლოს...

ამ სიტყვებმა ერთგვარ გამოწვევად გაიაზრა თამაზ ელიზბარაშვილის მისამართით, რომელსაც საზოგადოებრივი და სამართლებრივი რეაბილიტაცია თუ სურს, ნაღდად არ უნდა აარიდოს თავი ყველა იმ კანონიერ პროცედურას, რომელთა თავის არიდებით მხოლოდ „ომეგა“-ს ადვოკატების სიტყვების ჭეშმარიტებას ადასტურებს...

თამაზ ძველაძე

ლენინური პრემიის ლაურეატი — პლაგიატორი?

ისტორიკოს პეტრე უშაკოვის საიდუმლოება

მერე გვერდიდან

მომდევნო წლისათვის პეტრე უშაკოვმა დაასრულა დიდი მოცულობის ნაშრომი „Халдские надписи Закавказья“ (I ნაწილი). მის შესახებ გამოჩენილი ენათმეცნიერი პროფ. გიორგი ახვლედიანი ამავე წლის 10 ნოემბერს წერდა: "... работа эта безусловно носит все признаки самостоятельной исследовательской работы: довольно новая концепция по актуальному вопросу, неоспоримая почти исчерпывающие знание источников и литературы на всех Европейских языках (до 400), критическое отношение к таким крупным исследователям в этой области как проф. Леман-Хаупт, акад. И. И Мещанинов, М. Церетели и И. Фридрих, осторожное отношение к фактам надписей, убедительность метких наблюдений"; "представленная работа больше чем удовлетворяет в своей первой части к требованям, предъявляемым к кандидатской работе". მაგრამ, ჩანს, პეტრე უშაკოვს სამეცნიერო კარიერა დიდად არ აწუხებდა, ამიტომაც არ აჩქარებულა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

როდესაც თბილისში ალექსანდრე სვანიძის მოწვევით 1936-37 წლებში (7 თვის განმავლობაში) იმყოფებოდა სახელგანთქმული ავსტრიელი ასირიოლოგი კარლ ლემან-ჰაუპტი, პეტრე უშაკოვს ხელიდან არ გაუშვია ეს შანსი თავისი ცოდნის გასაღრმავებლად, კერძოდ ურარტულოგიაში. იგი წერდა: "Используя приезд в г. Тбилиси известного специалиста по истории древнего Востока австрийского профессора К. Ф. Леман-Хаупта я под его руководством в течение семи месяцев исполняю свои знания по соответствующим дисциплинам и пользуясь его указаниями в разработке рядам чем..." (სხვათა შორის, ამის მომსწრე არის 86 წლის ქალბატონი დოცენტი ნატალია კვეზერელი-კოპაძე).

1936 წელს ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსის ვასილ სტრუვეს მიერ გამოქვეყნებულ „ძველი ისტორიის ქრესტომათიაში“ (I ტ.) ურარტუს შესახებ რამდენიმე ადგილობრივი წყარო სწორედ პეტრე უშაკოვს ეკუთვნის. იგივე ვასილ სტრუვე რამდენჯერმე შექებით მოიხსენიებდა პეტრე უშაკოვის დამსახურებას ურარტულოგიაში.

სიმონ ჯანაშია 1937 წელს თავის მოხსენებაში „საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავზე“ (პირველად დაიბეჭდა ენიმკის მოამბის პირველ ტომში. იხ. აგრეთვე სიმონ ჯანაშია, შრომები, ტ. 5, თბილისი, 1987, გვ. 419) აღნიშნავდა: „ენიმკი-ს მეცნიერმა თანამშრომელმა პ. უშაკოვმა დაამზადა და დასაბეჭდად წარმოადგინა მონოგრაფია „ლიდიური ენის“ შესახებ. მანვე 1937 წ. გეგმით დაამთავრა „ხალდური (ურარტული) ენის ლექსიკა.“

1937 წლის 14 ნოემბრიდან პეტრე უშაკოვი მუშაობდა პუშკინის სახ. სამასწავლებლო ინსტიტუტში ძველი ისტორიის მასწავლებლად დოცენტის წოდებით. ამავე წლის მაისიდან კი იგი გახდა აგრეთვე ენიმკის სწავლული ბიბლიოგრაფოსი. 1937 წელსვე უნივერსიტეტში დასაცავად წარადგინა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე "Лидийские надписи и лидийский язык". გარკვეული მიზეზების გამო დისერტაციის დაცვა საკმაოდ გაჭიანურდა. იგი შესდგა 1939 წლის 17 აპრილს. ძირითადი ოპონენტები იყვნენ გიორგი ახვლედიანი და იუსტინე აბულაძე. დაცვისას მესამე რეცენზენტად გამოვიდა სიმონ ჯანაშია. ერთხმივი რეცენზია ასეთი გახლდათ: "Диссертант заслуживает ученой степени и диссертация по своим качествам соответствует и даже превышает требования, предъявляемые к кандидатской." 1939 წლის 14 ივნისიდან პეტრე უშაკოვი ენიმკი-ში უფროს მეცნირ-თანამშრომლად დააწინაურეს. როდესაც ინსტიტუტში შესაბამისი წინადადება განიხილებოდა, თავისი დადებითი აზრი გამოსთქვა ივანე ჯავახიშვილმა (სხვა ვინმეს აზრი არც გამოუთქვამს). საერთოდ, ხელნაწერთა ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილისეულ ფონდში შვიდი დოკუმენტია დაცული, რომლებიც ასახავენ ჩვენი დიდი წინაპრისა და პეტრე უშაკოვის ურთიერთობებს.

აქედან ვგებულობთ, რომ ეს უკანასკნელი ივანე ჯავახიშვილს ამყოფებდა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის შესახებ უახლესი უცხოური გამოცემების კურსში. აქვე დავსძენთ იმასაც, რომ რეცენზენტი იმ ქართულად დაწერილი ნაშრომისა, რომელიც პეტრე უშაკოვმა 1940 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბეში“ გამოაქვეყნა, გახლდათ სწორედ ივანე ჯავახიშვილი. ეს გარემოებაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ პეტრე უშაკოვი საკმაოდ სერიოზული მეცნერი იყო.

გურამ ყორანაშვილი

(გაგრძელება იქნება)

„ტოტო-ლოტოს“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

კვირას, 20 სექტემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“-ს და თანმხლები თამაშის „სუპერ-7“-ის მე-21 ტირაჟის გათამაშება.

„ლოტო 6-42“-ს მოგებახვედრილი რიცხვებია:

5. 7. 10. 19. 25. 42.

3 რიცხვი — 1.10 ლარი
4 რიცხვი — 8.60 ლარი
5 რიცხვი — 507.80 ლარი.
6 რიცხვი ვერავინ გამოიცნო. „ჯეკ-პოტი“ 54 907 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

„სუპერ 7“-ის მომგებიანი ციფრებია **9144577**

შემდეგი ტირაჟი შედგება 27 სექტემბერს.

„ჯეკ-პოტი“ **54.907 ლარი**

ითამაშეთ ლატარია „ტოტო-ლოტო“!

გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მარტვილის რაიგანყოფილება აწყობს აუქციონს

აუქციონი ჩატარდება ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ მარტვილის რაიონის გამგეობის სხდომათა დარბაზში 10.00 საათზე. მისამართი: მარტვილის რაიონი, გამარჯვების ქუჩა №8

გასაყიდად წარმოდგენილი იქნება:

შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მარტვილის ფოსტის ფილიალის ყოფილი სალაპარაკო პუნქტი. მდებარე ქ. მარტვილში. საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 281 აშშ დოლარს. დაკავებული მიწის ფართი 165 კვ. მ.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და მისაგებელი. „ბე“-ს სიდიდე განისაზღვრება ობიექტის საწყისი საპრივატიზებო ღირებულების 10%-ით, მისაგებელი იურიდიულ პირთათვის შეადგენს 50 აშშ დოლარს, ხოლო ფიზიკურ პირთათვის 10 აშშ დოლარს ექვივალენტური ლარი.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღება მიმდინარეობს განცხადების გაზეთში გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 11 საათამდე, იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე დღეს სამუშო დღეს იმავე საათზე.

ღირებულების გადახდა იწარმოებს დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში. თანხა შემოტანილი უნდა იქნას სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მარტვილის რაიგანყოფილების ანგარიშზე მარტვილის აგრომრეწვბანკში.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: მარტვილი, გამარჯვების ქუჩა №8, მარტვილის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის შენობა, მე-3 სართული. დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მარტვილის რაიგანყოფილებას.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მარტვილის რაიგანყოფილება.



ვულოცავთ ბერიკა ქურდოვანიძეს დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ზღვა სიხარულს და დიდხანს სიცოცხლეს შენს მშობლებთან, დაიკოსთან და ყველა ახლობელთან ერთად.

შენი უფროსი მეგობრები

ახალგაზრდული ფონდი „მოსახლეობის დასაქმების ცენტრი“
თავისუფალი სამუშაო ადგილები

საოფისე სპეციალისტები

მდივან-რეფერენტი: ქალი, 25-35 წ. უმაღლესი განათლებით, სასიამოვნო გარეგნობით, ინგლისურისა და კომპიუტერის კარგი მცოდნე. სტაჟი არანაკლებ 1-3 წ. ანაზღაურება 200 ლარი.

ბუღალტერი: ქალი, 25-35 წ. უმაღლესი განათლებით, უცხო ენის და კომპიუტერის ცოდნა სასურველია. სტაჟი 2-3 წ. სატრანსპორტო სფეროში მუშაობის გამოცდილება. ანაზღაურება 200 ლარი.

ბროკერი (რიელტორი): ქალი 25-37 წ უმაღლესი განათლებით, სასიამოვნო გარეგნობით, ენერგიული, კომუნიკაბელური, სასურველია ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა, მარკეტინგული მომსახურეობის სფეროში მუშაობის გამოცდილება. ანაზღაურება — 100 დოლარი და პროცენტული.

პროგრამისტი: კაცი, ქალი 30 წ-მდე, უმაღლესი განათლებით, საკუთარი კომპიუტერით, სასიამოვნო გარეგნობით, WINDOWS 95, WORD 97, EXCEL 97, Page Maker 6.5. კურსების პედაგოგად, ხელფასი 150 ლარი.

მომსახურების სფერო

მიმტანი: ქალი 20-27 წ სასიამოვნო გარეგნობის, სიმაღლე 170 სმ, ენერგიული, კომუნიკაბელური, სტაჟი აუცილებელი არ არის. ანაზღაურება პროცენტული.

სარეკლამო აგენტი: ქალი, კაცი, 20-35 წ სასიამოვნო გარეგნობით, კომუნიკაბელური, ენერგიული, უმაღლესი განათლებით. სასურველია გამოცდილი. ანაზღაურება შეთანხმებით.

მძღოლი: კაცი 30-55 წ საკუთარი მიკროავტობუსით, ბენზინით და ზეთით უზრუნველყოფა, სამივლინებო თანხებით. ანაზღაურება 350 ლარი.

მძღოლი: კაცი 35 წ-მდე სასიამოვნო გარეგნობით, „E“ კატეგორიის მართვის უფლებით. ერკვეოდეს დოკუმენტებში და იცოდეს რომელიმე უცხო ენა. ანაზღაურება 300 დოლარი.

ჩვენი მისამართია: შარტავას №7, მე-16 სართული, ოფისი №1608-1615
ტელეფონი: 38-94-68 38-11-72 ფაქსი: 38-14-43

კროსვორდი



თარაზულად: 1. [illegible]რის ძმა; 4. ქვეყნის შეიარაღებული ძალები; 7. თვის შვიდდღიანი მონაკვეთი; 10. დაზიანების აღდგენა; 11. სინამდვილე; 12. ავადმყოფური სულის ხუთვა; 13. უძრავი ქონების ვადიანი დაქირავება; 14. ტომის ძველბერძნული ღმერთი; 15. ჭედვისას უროს საცემი რკინის სადგარი; 19. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 21. ქალის ზედა ტანსაცმელი; 25. მხარზე ჩამოსაკიდი ჩანთა; 28. ბანკში მიბარებული თანხა; 30. რომის ძველი პროვინცია, ებრაელთა ბიბლიური სამშობლო; 32. ქიმიური ჭურჭელი; 33. პატრუქიანი პრიმიტიული უაბაჟურო სანათი; 35. ქართული ეპოსის პრომეთეოსი; 36. უმაღლესი ქალღმერთი; 38. არაბი ხელისუფალი ძველ საქართველოში; 39. ოთხკუთხა რბილი ყავისფერო კანფეტი.

შვეულად: 1. დიდი სარი; 2. საათის მექანიზმის დრეკადი ელემენტი; 3. ცხოველთა საკვები პარკოსანი ბალახეული მცენარე; 4. ერთხმიანი მუსიკალური პარტია ოპერაში; 5. არწივის ბარტყი; 6. ეპილეფსიის შეტევის წინმსწრები სიმპტომები; 7. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 8. ბანკში დაგირავებული უძრავი ქონება; 9. დელფინის ნაირსახეობა; 15. აბრეშუმის ჭიის თესლი; 16. ჭაობის დასაწრეტად მიწაში ჩადებული მილი; 17. მღვდელმთავრის მაღალი ქუდი; 18. რესპექტაბელობის გარეგნული გამოვლენა დადებითი ზემოქმედების მიზნით; 20. ფიცრული სახლი ბოძებზე; 21. ჩანაწერი რისამე ჩამონათვალით; 23. რომის იმპერატორის წოდება; 24. მომთაბარე არაბი; 26. სრული წონასწორობა; 27. მიწის თხილი; 29. სუფთა ვრცელი ოფიციალური ორგანიზაციის რეკვიზრებით; 31. პოზა იოგაში; 32. ერთგვარი მშრალი ტკბილი ნამცხვარი; 33. მიწის თავლია ჭურჭელი სასმელისათვის; 34. წყლული.

ვამზადებთ კარ-ფანჯრებს, ავეჯს, შეღავათიან ფასებში. ტელ: 76-88-33. ჰამლეტი

იყიდება 3-ოთახიანი კერძო სახლი ალექსეევკაში დიდი ეზოთი, ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 76-88-33. ჰამლეტი

ვამეცადინებთ მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიაში, ინგლისურ ენაში. ტელეფონი 25-23-24. იკითხეთ მზია.



ნათია ქავთარაძეს

ჩემო ლამაზო, კუდრაჭავ, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ლამაზ და ბედნიერ მომავალს, ბეჯითად სწავლას. გაზრდილიყავი მშობლების საამაყო შვილი.

შენი ნათლია ნატო მამიდა

კოკი და კომპანია
Koki & Company

გთავაზობთ

ოფისების, ბინების, კაფე-რესტორნების, კომერციული ფართების, ბენზინგასამართი სადგურების, სალონების რემონტს, დიზაინს რეკლამას

ბინების, ოფისების, ქონების ყიდვა-გაყიდვა გაქირავება

თაყაიშვილის 1ა უნივერსიტეტის 1 კორ. პირდაპირ

☎ 29-30-79 მიღება ყოველდღე 10:00-17:00 კვირის გარდა

გახსენება
ჟორა ჯაბუა

ის ქართველ ინჟინერ-მშენებელთა იმ პლეადას ეკუთვნოდა, რომლებმაც ომის დამთავრების პირველ წლებში დაამთავრეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სრულიად ახალგაზრდები შეუდგნენ ომისგან დანგრეული ქვეყნის აღმშენებლობას. ახალგაზრდა ინჟინერი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ნაცარტუტად ქცეული სტალინგრადის მშენებლობაში, დიდი გამოცდილების მქონე დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს. მისი უშუალო მონაწილეობით აშენებული მრავალი საცხოვრებელი სახლი და საწარმოო ობიექტი ამშვენებს დღეს გაგრასა და ზუგდიდს.

მარტოხელა დედის ხელში, უმამოდ გაზრდილმა, თვითონ გაიკვლია ცხოვრების გზა, გახდა პროფესიონალი მშენებელი, შექმნა საუკეთესო ოჯახი, აღზარდა ნიჭიერი, განათლებული შვილები, დაიმკვიდრა ნათესავ-მეგობართა სიყვარული და რაოდენ დასანანია, რომ მისი მჩქეფარე სიცოცხლე ამ ორმოცი დღის წინ ტრაგიკულად აღესრულა.

ვაჟა თოდუა

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

გაზეთის დირექტორი: ელგუჯა ჩხაიძე

რედაქცია: გია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალადაშვილი (კომერციული დირექტორი), კობა კაპანაძე (სამართლისა და რეგ. პოლიტიკის განყ. გამგე), თემურ კოზოლაშვილი (რეალიზაციის განყოფილების გამგე), კორესპონდენტები: კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩადუნელი, ქეთი გეჯაძე, ხათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჟანიძე, ნანა ძველაია.

კორექტორები: ამალია გოგრიაშვილი, ამრიტა ჯანაშია